

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ԿՐՈՅԵՐԻ ՑՈՒՑԱԿԱՐԱ



K 116.737/3



საქართველოს
სს ადამიანის
გასწავლებისა და ყრიელობა

კარის მუზეუმი „მოდერნ“

თბილისი — 1962

საქართველოს სს რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობა

1959 წლის 30 სექტემბერი — 1 ოქტომბერი

K 116.43 4
3

სტენოგრაფიული ანგარიში



საქართველო-ევრაზიანი ლიტერატურის
სახელმწიფო ჩამონიქონოვლობა „ცოდნა“

თბ 0 ღ 0 60 — 1962

უკმდგენელი ვლ. მგალობლიშვილი.



პირველი ხელობა

(1959 წ. 20 სექტემბერი, დაბა)

თავმჯდომარე (გ. ნ. ჭიბლაძე) — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი). ამხანაგებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის დელეგატთა დრჩებულია 579 ამხანაგი. მათგან ყრილობას ესწრება 546 დელეგატი, საპატიო ინშეზით ვერ ესწრება 33 დელეგატი. მირიგად, ყრილობა უფლებამოსილია დაიწყოს მუშაობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობას გახსნილად ვაცხადდებ.

ამხანაგებო! ყრილობას ესწრებიან ჩვენი ძვირფასი სტუმრები, ახანაგები:¹

1. ნიკოლოზ პავლეს ძე კუზინი — სკუპ ცენტრალური კომიტეტის სკოლების სექტორის გამგე;
2. ალექსი ივანეს ძე მარკუშევიჩი — რსფსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე;
3. ნიკოლოზ კირილეს ძე გონჩაროვი — რსფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;
4. ნიკოლოზ ვასილის ძე ნეჩაევი — საბჭოთა კავშირის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობაზე პროფესიონალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი;
5. მარიამ ალექსანდრეს ასული პოლიაკოვა — ქ. მოსკოვის სკოლის დირექტორი;
6. ტატიანა სერგის ასული პეტრუსენკო — უკრაინის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე;
7. ალექსი სიმონის ძე კოსიაკი — ყირიმის ოლქის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე;
8. ტიმოთე ვასილის ძე შაშლო — კადევის ოლქის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე;

¹ ეს და შემდეგ ზოგიერთი ვამსჯელის, აგრეთვე მისალმებაზა ტექსტი თარგმნილია რუსულიდან. რედ.



9. ანა ოლექსის ასული ივანივა — ქ. კირვის 51-ე სკოლის
დირექტორი;
10. სტეფანე იგორის ძე ივანისი — ბელორუსის სსრ განათლე-
ბის სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი;
11. რახმან სალიმის ძე იგამზერდიევი — უზბეკეთის სსრ განათ-
ლების მინისტრის მოადგილე;
12. შაგიას შაირტიკის ძე შახალიმოვა — ქ. ტაშკენტის კალინ-
ინის სახელობის რაიონის აღმასკომის განათლების განყოფილების
გამგე;
13. აიშა ხოჯამბერდის ასული იულდაშბაევა — ქ. ტაშკენტის
მე-20 სკოლის დირექტორი;
14. იბრაჰიმ რწავას ძე ჰაჯიევი — აზერბაიჯანის სსრ განათლე-
ბის სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი;
15. საადათ ქერიმის ასული შურუმოვა — აზერბაიჯანის სსრ
ექსტაფის რაიონის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე;
16. სიმა ჰაჯის ასული ხალილოვა — ქ. ბაქოს სკოლის სასწავლო
ნაწილის გამგე;
17. მეჩისლავის ალექსანდრეს ძე გედვილასი — ლიტვის სსრ
განათლების მინისტრი;
18. ლიუდმილის იანის ძე გრუდულისი — ლატვიის სსრ განათლე-
ბის სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი;
19. მაიკა იანის ასული გრუდული — ქ. რიგის ლენინის სახე-
ლობის რაიონის სასკოლო ინსპექტორი;
20. ლაიმონ ნიკოლოზის ძე ეპიფანიოვი — ლატვიის სსრ სკოლე-
ბის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პოლიტექნიკური სწავლების
ცენტრის ხელმძღვანელი;
21. დიუშეკ ორაზალიევი — ყარგიზეთის სსრ მასწავლებელთა
გაზეთის რედაქტორი;
22. არან მამაჯუნუსოვი — ყარგიზეთის სსრ ნაუკუსტის რაიო-
ნის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე;
23. ტაირ პულატის ძე პულატოვი — ტაჯიკეთის სსრ განათლე-
ბის მინისტრი;
24. თელორე პროეფის ძე რეზა — ტაჯიკეთის სსრ განათლების
სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი;
25. თიმურლი აბდუგაფურის ასული რაზიკოვა — ქ. ლენინაბა-
დის საშუალო სკოლის დირექტორი;
26. შავარშ სტეფანეს ძე სიმონიანი — სომხეთის სსრ განათლე-
ბის მინისტრი;



27. ბორის აბრამის ქ ბალდასარიანი — ქ. ერევანის საშუალებრივი სკოლის დირექტორი;

28. ლენა ამაის ასული ღილანიანი — ქ. ერევანის სკოლის მასწავლებელი;

29. ქეყანა მუპამელბერდიევა — თურქმენეთის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე;

30. ნიაზ-ბიბი შამურადოვა — ქ. კერკის სკოლის დირექტორი;

31. ალექსანდრა ივანეს ასული ვილდიაევა — ქ. აშხაბაძის სკოლის დირექტორი;

32. ოთავანეს ნიკოლოზის ქ ტოხეერი — ესტონეთის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე;

33. როზემუნდე იანის ასული აულაი — ქ. ტალინის 22-ე სკოლის დირექტორი.

შემოსულია წინადადება, რომ დასახელებული ამხანაგები არჩეულ იქნან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის დალეგატებად. (მქუხარე ტაში).

ნება მომეციო თქვენი მქუხარე ტაში ჩაეთვალო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის დალეგატებად დასახელებული ამხანაგების ერთხმად არჩევის ნიშნად. (მქუხარე ტაში).

შემოსულია წინადადება არჩეულ იქნას ყრილობის საქმიანი პრეზიდიუმი. ვის სურს სიტყვა წინადადებისათვის? სიტყვა ეძღვევა ამხ. მელაძეს — ქ. თბილისის ორგონიკიძის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს.

ვ. 6. მელაძე. ამხანაგები! წინადადება შემომაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის საქმიანი პრეზიდიუმის შემაღენლობა განისაზღვროს 66 კაცის რაოდენობით.

თავმჯდომარე. შემოსულია წინადადება, რომ საქმიანი პრეზიდიუმის შემაღენლობა განისაზღვროს 66 კაცით. ვინ არის ამ წინადადების მომხრე? გთხოვთ დაგვიდასტუროთ მოწმობების აწევით. ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკვა? არავინ. წინადადება მიღებულია ერთხმად. გთხოვთ გადახვიდეთ დასახელებაზე.

შელაძე. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში ვასახელებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ალექსი ყიდულის ქ ასათაშვილი — საქართველოს კაოლაგის რაიონმის მდივანს;



2. დოსტირი სესტორის ქ ბეკოვას — სამხრეთ კონფიდენციალური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს;

3. ირაკლი გიორგის ქ ბერთშვილს — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილეს;

4. ეთერ სერგოს ასულ ბოლქვაძეს — ქ. რუსთავის მე-6 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

5. ანგია თადეოზის ქ ბოჭორიშვილს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს;

6. მარიამ ივლიანეს ასულ ბურჟულაძეს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს;

7. იბრაჟიმ რზას ქ ჭავიევს — აზერბაიჯანის სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსს;

8. გიორგი ანდრიას ქ გეგეშვილს — საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს;

9. ელენე სოლომონის ასულ გეგიაძეს — ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის დირექტორს;

10. მეჩისლოვას ალექსანდრეს ქ გილვალას — ლიტერატურული განათლების მინისტრს;

11. ნიკოლოზ ქირილეს ქ გონიაროვას — რსფსრ პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს;

12. ივანე სპირიდანდის ქ გოშხეთელიანს — ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგეს;

13. ლიუდვიგ იანის ქ გრუდულიას — ლიტერატურული განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსს;

14. თინა სევერიანეს ასულ გუნდაძეს — ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

15. ისიდორე სამსონის ქ დოლიძეს — საქართველოს კომპიუტირალური კომიტეტის მდივანს;

16. თეომურაზ ნიკოლოზის ქ ეგაძეს — ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგეს;

17. თამაზ ალექსანდრეს ასულ ზახაშვილს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს;

18. დავით ბაგრატიოს ქ თებიძეს — აჭარის ასსრ განათლების მინისტრს;

19. შოთა ამბროსის ქ თითერიძეს — საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანს;

20. ვარლამ ტრიფონის ქ თოფურიას — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს;

21. რახმან სალომის ქე ი გა მ ბ ე რ დ ი ე ვ ს — უზბეკეთის სასახლე
 განათლების მინისტრის მოადგილეს; საქართველოს კულტურული მდგრადი განვითარებისა და სამართლებრივი მინისტრის მოადგილეს
22. სტეფანე ივარის ქე ი ვ ა ნ ს კ ი ა ს — ბელორუსის სსრ
 განათლების სამინისტროს სკოლების სამშართველოს უფროსს;
23. ზინაიდა არსენის ასულ კ ვ ა კ ვ ა ძ ე ს — საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;
24. გაბრიელ ისავის ქე კ ე ჩ ჩ უ ა შ ვ ი ლ ს — საქართველოს
 კ კ გორის რაიონმის მდივანს;
25. ნიკოლოზ სევერიანეს ქე კ ი ზ ი ვ ა ძ ე ს — ქ. თბილისის კუ-
 როვის სახელობის ჩარხხაშენებელი ქარხნის დირექტორს;
26. ბესარიონ იოსების ქე კ ი ზ ი რ ი ა ს — საქართველოს სსრ
 განათლების მინისტრის მოადგილეს;
27. არდა ამიაკის ასულ კ ი რ ა კ ი ნ ს ი ა ნ ს — ქ. თბილისის
 74-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;
28. ქეთევან ფილიპეს ასულ კ ო კ ი ი ა ს — აფხაზეთის ასსრ
 განათლების მინისტრის მოადგილეს;
29. ნიკოლოზ პავლეს ქე კ უ ზ ი ნ ს — სკუპ ცენტრალური კო-
 მიტეტის სკოლების სექტრორის გამგეს;
30. ვაიტორ დიმიტრის ქე კ უ პ რ ი ძ ე ს — საქართველოს სსრ
 უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს;
31. მიტროფანე იონის ქე კ უ ჭ ა ვ ა ს — საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს;
32. თამარ ვასილის ასულ ლ ა შ ქ ა რ ა შ ვ ი ლ ს — საქართვე-
 ლოს კ პ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილეს;
33. მიხეილ მიხეილის ქე ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ს — საქართველოს
 სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარეს;
34. დავით ონისიმეს ქე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს — საქართვე-
 ლოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი იმსტი-
 ცურტის დირექტორს;
35. სიმონ სევერიანეს ქე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს — საშენ
 ჯასალათა და მშენებლობის მინისტრს;
36. ამირ მამელის ქე მ ა მ ე ლ ო ვ ს — ბოლნისის რაისაბჭოს
 აღმასკომის თავმჯდომარეს;
37. ალექსი ივანეს ქე მ ა რ კ უ შ ე ვ ი ჩ ი ს — რსფსრ განათლე-
 ბის მინისტრის პირველ მოადგილეს;
38. სპარტაკ სიმონის ქე მ ა ტ ი ი ა ნ ს — საქართველოს კ პ
 ახალქალაქის რაიონმის მდივანს;
39. ლუკა იოსების ქე მ ა ლ ლ ა ფ ე რ ი ძ ე ს — განათლების,

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების შემავალი /
პროფესიის რესპექტური კომიტეტის თავმჯდომარეს შემთხვევაში/

40. ნატალია ალექსანდრეს ასულ მაქსიმოვას — წითელ-
წყაროს დაწყებითი სკოლის მასწავლებელს;

41. მადონა დავითის ასულ მეგლაძეს — საქართველოს
ალექსინტრალური კომიტეტის მდივანს;

42. ალექსანდრე ერასტის ქე მეგლაძეს — თბილისის საქალა-
ქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს;

43. მათე მიხეილის ქე მირიანა შვილს — თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს;

44. ცირია ლევანის ასულ მოდებაძეს — ასპინძის რაიონის
სოფელ ორგორის შეიდწილიანი სკოლის დირექტორს;

45. ვასილ პავლეს ქე მეგანაძეს — საქართველოს კა-
ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს;

46. კაჯაგან მუჰამედ ბერდი დივას — თურქმენეთის სსრ
განათლების მინისტრის მოადგილეს;

47. დავით ვასილის ქე შვედლიშვილს — გაზეთ „კომუ-
ნისტის“ რედაქტორს;

48. ალექსანდრე ლუკას ქე ნადიაშვილს — თელავის რაიო-
ნის განათლების განყოფილების გამგეს;

49. ნიკოლოზ ვასილის ქე ნერიავას — საბჭოთა კიბეჭირის
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებე-
ბის მუშაյთა პროფესიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუ-
მის წევრს;

50. დიუშეკ ორაზალი დივას — ყირგიზეთის სსრ მასწავლე-
ბელთა გაზეთის „მაგალიმდერის“ რედაქტორს;

51. ნადეჟდა სერგის ასულ ოსტავას — სამხრეთ ოსეთის
ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის ქსუასის საშუალ
სკოლის დირექტორს;

52. ტატიანა სერგის ასულ პეტრუსენკოს — უკრაინის
სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს;

53. ტაირ პულატის ქე პულატივას — ტაჯიკეთის სსრ გა-
ნათლების მინისტრს;

54. იოსებ გორგის ქე რთველიაშვილს — საქართველოს
კაცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეს;

55. შევარდნელიშვილის ქე სიმონიანს — სომხეთის სსრ გა-
ნათლების მინისტრს;

56. იოჰანეს ნიკოლოზის ქე ტოხვერს — ესტონეთის სსრ
განათლების მინისტრის მოადგილეს;

57. გრიგოლ ილიას ძე ჭადავიძეს — საქართველოს კულტურული ცენტრის მდივანს;

58. თამარ ამბაკოს ასულ შარვაშიძეს — ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლის დირექტორს;

59. ანდრია ჩანთას ძე ჩიჩიძას — აფხაზეთის ასარ გედაუთის რაიონის კალდახევარის სკოლა-ინტერნატის დირექტორს;

60. გორგი ირაკლის ძე ჩოგოვაძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეცნიერების საბჭოს თავმჯდომარეს;

61. გორგი სამსონის ძე ძოწენიძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს;

62. შოთა ილარიონის ძე ჭანუყვაძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეცნიერების მინისტრს;

63. ნიკოლოზ ერმილეს ძე ჭახრაკიას — საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს;

64. სერგი ესტატეს ძე ჭილაიას — საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანს;

65. გორგი ნიკოლოზის ძე ჭიბლაძეს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრს;

66. ზურაბ აბმედის ძე ჭორბეგიძეს — ექარის ასარ ხელოს რაიონის ყინჩაურის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

თავმჯდომარე. როგორი იქნება წინადადება: კენჭი ვუყაროთ შერსონალურად, თუ სიით?

ხედი. სიით!

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე, რომ დასახელებული ამხანაგები არჩეულ იქნან ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში? გთხოვთ ასწილოთ დროებითი მოწმობები. ვინ არის წინააღმდეგი თავი ვინ შეიკავა? არავინ. ამრიგად, დასახელებული ამხანაგები ერთხმად არიან არჩეული ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში. არჩეულ ამხანაგებს ვთხოვ დაიკავონ აღვილები.

შემოსულია წინადადება, რომ არჩეულ იქნას ყრილობის საშლიერო. ვის სურს ნიტყვა წინადადებისათვის? სიტყვა ეძლევა ამზეურიძეს — ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორს.

ა. თ. ქურიძე. ამხანაგებო! წინადადება შემომაქვს ყრილობის სამდივნოს შემაღებელობა განისაზღვროს 9 კაცით.

თავმჯდომარე. შემოსულია წინადადება, რომ სამდივნოს შემაღებელობა განისაზღვროს 9 კაცით. ვინ არის ამ წინადადების მომხრე? გთხოვთ დაგვიდასტუროთ მოწმობების აწევით. ვინაა წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ. ამრიგად, ყრილობის სამდივნოს

შემადგენლობა განსახლერულია 9 კაცით. გთხოვთ გადახვიდეთ შე-
სახელებაზე.

ექრიძე. საქართველოს საბჭოთ სოციალისტური რესპუბლიკის
მასწავლებლთა ყრილობის სამდივნოს შემადგენლობაში ვასახელვბ
რემდეგ ამხანაგებს:

1. ნატო იოსების სულ ასანიდეს — გორის რაიონის სოფ.
შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელს;

2. გოორგი გოორგის ძე გელაშვილს — გაზეთ „ახალგაზრ-
და კომუნისტის“ რედაქტორს;

3. გოორგი სილოვანის ძე კანდელაკს — სამტრედიის
რაიონის განათლების განყოფილების გამგეს;

4. ვლადიმერ ქონსტანტინეს ძე მგალობლივილს —
რურნ. „კომუნისტური აღმრდისათვის“ რედაქტორს;

5. ელენე ქონსტანტინეს ასულ ნაუმენკოს — ქ. თბილისის
44-ე სკოლის მასწავლებელს;

6. გივი ტრიფონის ძე ნიორაძეს — საქართველოს სსრ პე-
დაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და-
რექტორის მოადგილეს;

7. გოორგი არქადის ძე საყვარელიძეს — საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსს;

8. გრიგოლ პლატონის ძე საჭაიას — გაზეთ „სახალხო გა-
ნათლების“ რედაქტორს;

9. ოთარ დაინილის ძე ქინქლაძეს — გაზეთ „მოლოდიოდ
გრუზიის“ რედაქტორს.

თავმჯდომარე. კენჭი ეუყაროთ პეტსონალურად, თუ სიით?
ხმები. სიით!

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე, რომ დასახელებული ამხანა-
გები არჩეულ იქნან ყრილობის სამდივნოში? გთხოვთ ასწიოთ მოწ-
მობები. ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ. მრიგად,
დასახელებული ამხანაგები ერთხმად არიან არჩეული ყრილობის
სამდივნოს შემადგენლობაში.

შემოსულია წინადადება, რომ არჩეულ იქნას ყრილობის სამან-
დატო კომისია. ვის სურს სიტყვა წინადადებისათვის? სიტყვა ეძლევა
ამხ. საკანდელიძეს — ქ. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის
დირექტორს.

კ. საკანდელიძე. ამხანაგებო! წინადადება შემომაქვს საქართვე-
ლოს სსრ მასწავლებელთა ყრილობის სამანდატო კომისიის შემად-
გენლობა განისაზღვროს 5 კაცის რაოდენობით.

თავმჯდომარე. შემოსულია წინადადება, რომ სამანდატო კომი-



სოს შემადგენლობა განისაზღვროს 5 კაცთ. ვინ არის ამ წინადაღებისათვე
ძის მომხსრე? გთხოვთ დაგვიდასტუროთ მოწმობების აქცენტ. ჭრივათთვე
წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არავინ. ამრიგად, ყრილობის სამან-
დატო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრულია 5 კაცთ. გთხოვთ
გ. დახვიდეთ დასახელებაზე.

საკანდედოძე. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუ-
ბლიკის მასწავლებელთა ყრილობის სამანდატო კომისიის შემადგენ-
ლობაში ვასახელებ შემდეგ ამხანაგება:

1. ორაჟღი ილარიონის ძე კავკაც აკეს — საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსს;

2. ასთამურ პესოს ძე ლაკე რბაიას — გაგრის მე-2 საშეა-
ლო სკოლის დირექტორს;

3. ალექსანდრე ისაკის ძე მელქონ აკეს — საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს ინსპექტორს;

4. გიორგი კარპეზის ძე ქათა მააკეს — აქარის ასსრ განათ-
ლების მინისტრის მოადგილეს;

5. გიორგი ისაკის ძე ჩხიანია აკეს — ლანჩხუთის რაიონის ვა-
ნათლების განყოფილების გამგეს;

თავმჯდომარე. კენტი ვუყაროთ პეტსონალურად, თუ სიითი
ხმები. სიით!

თავმჯდომარე. ვინ არის მომხსრე, რომ დასახელებული ამხანაგე-
ბი არჩეულ იქნან ყრილობის სამანდატო კომისიაში? გთხოვთ ას-
წიოთ მოწმობები. ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? არა-
ვინ. ამრიგად, დასახელებული ამხანაგები ერთხმად არიან არჩეული
ყრილობის სამანდატო კომისიის შემადგენლობაში.

შემოსულია წინადადება, არჩეულ იქნას ყრილობის საპატიო
პრეზიდიუმი. ვის სურს სიტყვა წინადადებისათვის? სიტყვა ეძღვევა
ახ. ჯამბრიშვილს — ქ. ვორის განათლების განყოფილების გამგეს.

ქ. ჯამბრიშვილი. ამხანაგებო! წინადადება შემომაქეს საქართვე-
ლოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრი-
ლობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საბჭოთა კაშირის
კომინისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის
შთელი შემადგენლობა.

თავმჯდომარე. ამხანაგებო! ნება მომეცით თქვენი ერთსულო-
ები ტაში ჩაეთვალო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში სკეპ-
ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობის ერთხმად
არჩევის ნიშნად. (მქუჩარე ტაში).

ყრილობის დღის წესრიგშია საკითხი: „სკოლის რეორგანიზა-

ცია და საქართველოს სსრ მასწავლებელთა „ამოცანები“. რეგულაზიფიცია
დარიგებულია. არის თუ არა შენიშვნები?

სმები. არ არის.

თავმჯდომარე. ეინ არის მომხრე წარმოდგენილი დღის წესრიგის
და რეგლამენტისა? გთხოვთ ასწოთ მოწმობები. დღის წესრიგი და
რეგლამენტი დამტკიცებულია.

თავმჯდომარე (მ. ი. ბურტულიძე) — საქართველოს სსრ განათ-
ლების მინისტრის მოადგილე). მოხსენებისათვის საყითხშე — „სკო-
ლის რეორგანიზაცია და საქართველოს სსრ მასწავლებელთა „ამოცა-
ნები“ სიტყვა ეძღვევა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური ჩა-
სუბლიკის განათლების მინისტრს ამხანაგ გიორგი ნიკოლოზის ძე
ჭიბლაძეს. (მ ქ უ ს ა რ ე ტ ა შ ი).

სახალხო განათლების ცისტმას სიონისანისაცია და მასწავლის მიღებითა ავტორიზი

ამ. გ. ნ. ჯიბლაძის მოხსენება

ამხანაგებო!

ისტორიული მომენტი, როცა ჩვენი ყრილობა შეიქმნა, აღსავ-
სეა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი მოვლენებით. ორი დღის
წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა მშეიღობის
საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, საბჭოთა ქვეყნისა და მისი
ხალხის სახელოვანი მეთაური, ჩვენი ძეირფასი ნ. ს. ხრუშჩინი, რო-
მელმაც თავისი ბრწყინვალე, ისტორიული გამოსცელებით ამერიკის
ქალაქებსა და ამერიკელი ხალხის წინაშე ერთხელ კიდევ ცხადჰყო,
რომ ქვეყანამ, რომელმაც პირველმა განახორციელა სოციალიზმი,
როგორც საზოგადოებრივი წყობა, უდიდესი მიღწევები მოიპოვა
მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და განათლების ყველა-
დარგში; ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელიც
უძლიერესი და უმტკიცესია მსოფლიოში ამერიკად არსებულ ყველა
ქვეყანას შორის, დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობის, პროგრესის.
ადამიანური გონიერების ტრიუმფისათვის ხალხთა საბედნიეროდ და
სკეტილდღოვდ.

მთელი მსოფლიო მხურვალე მოწონებით შეხვდა და ერთსულო-
ვან ტაშს უქრავს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩინის კეთილგონიერებას. მის
ჰუმანიზმს, კაცომოყვარეობას, დიდისულოვნებას, და ჩვენ უდიდესი
მაღლობის სიტყვა ვვინდა ვეტერათ საბჭოთა სამშობლოს ნაცალ
ხელმძღვანელს მისი თავდადებული ბრძოლისა და ნამდვილად რაი-
ნდული შრომისათვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის მისაღწევად.

ისტორია ვერასოდეს ვერ დაივიწყებს სიტყვას, რომელიც ამ-
ჲანაგმა ხრუშჩინმა თორმეტი დღის წინათ წარმოთქვა გაერთიანე-
ბული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, განსახილე-
ლად შეიტანა რა დეკლარაცია საყოველთაო და სრული განიარაღე-
ბის შესახებ. მსოფლიოს თორმეტი სახელმწიფომ ერთსულოვნად დაუ-
შირა მხარი საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებას, რომ ოთხი წლის
განმავლობაში ყველა ქვეყანამ განახორციელოს სრული განიარაღე-
ბა, რათა არც ერთ მათგანს აღარ ექნეს ომის წარმოების საშუალე-

ბანი. ეს მართლაც უდიდესი, უაღრესად გონივრული, გაბეჭდული და კრანდიოზული ისტორიული აქტია, ასე კარგად ომშ გამოხატავს საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის, მისი მეთაურის დაუცხრომელ ზრუნვას კაცობრიობის ბედნიერების, მისაღწევად. საბოლოო ანგარიშით ყოველთვის ჰეშმარიტების ერთგული ისტორია ამ აქტს შეიტანს თავისი ანალების პირველხარისხოვან რქის ფურცლებზე.

ჩეენი ყრილობა ბედნიერად იწყებს მუშაობას ასეთ ისტორიულ ყოთარებაში, და გვახარებს ის გარემოებაც, რომ სწორედ ყრილობის წინა დღეებში გამოქვეყნდა ხალხისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უანგარო ზრუნვაზე მეაფიოდ მღალადებელი კიდევ ერთი დოკუმენტი მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების დამთავრების ვადების შესახებ. ეს დოკუმენტი გამოხატავს ჩეენი ჰევების ძლიერაზოსილ წინსელას კომუნიზმის კაშაშა შევერგვალებისაკენ, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ყოველდღიურ ზრდას, თეთბ ხალხის ეკონომიკურ სიძლიერეს, კომუნიზმის ცხოველმყოფელობას.

დღეს ჩეენ პირველად ვატარებთ მასწავლებელთა ყრილობას. ეს დღე ჩაიწერება საქართველოს სახალხო განათლების მატიცნეში მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფურცლად. ამ დღეს ჩეენ გვინდა სახალხო განათლების ყველა მუშავის, ყველა პედაგოგის, მშობლისა და მოსწავლის სახელით გულთბილი მადლობისა და ღრმა კმაყოფილების პირველი სიტყვა ვუთხრათ იმას, ვინც უზრუნველყო ხალხის უმაგალითო გამარჯვებანი მისი ცხოვრების ყველა დარგში, ვინც მსოფლიო განაცვილება თავისი კოლოსალური ორგანიზატორული ტალანტით, შეგვაძლებინა აშენება სოციალისტური საზოგადოებისა, მოგვაწყობინა დედამიწაზე სრულიად უპრეცენდენტო, ნამდევილად სახალხო განათლების უფართხოესი ქსელი, ვინც შესაძლებელი გახდა მსოფლიოში პირველად გაგვეშვა ჩეენი პლანეტის თანამგზავრები, კოსმოსური ჩაეცემი, ხოლო საბჭოთა ალამი შეუცდომლად, ზუსტად მიგვატანინა საკეირველ მთვარეზე, — გვინდა მხურეალ ძიდლობის პირველი სიტყვა ვუთხრათ საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიის და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გვინდა მადლობის სიტყვები ვუთხრათ საბჭოთა მთავრობას — წმდვილად სახალხო მთავრობას, და ჩეენს მშობელ დიდ საბჭოთა ხალხს, მთელ მსოფლიოში შშვიდობისა და პროგრესის საყოველთაოდ აღიარებულ ძლევამოსილ მედროშეს!


ჩეენ პირველად ვატარებთ მასწავლებელთა ყრილობას და გვინდა მადლობის გრძნობით მოვიხსენიოთ ყველა ის, ვინც წარსულში მასწავლებლის სახელი თავისი პირადი მაგალითთ განადიდა. მარ-

თალია, სახალხო განათლების უმნიშვილ მუშავთა რიცხვი ლეგიტიმური გადას გერ ჩამოვთვლით, მაგრამ მათ შორის არიან წარჩინებული მოღვაწეები, და მათი სახით პატივი გვინდა ვეკე იმ სახელოვანი ადამიანების სსოფლას, რომლებმაც ნიკი, უნარი, ძალა და ენერგია არ დაიშურეს ქართველი ხალხის განათლების, კულტურული წინსელისა და პროგრესისათვის. ესენი არიან არა მარტო ჩვენი ძველი წინაპრები, არამედ, მათ შორის იხსენიებიან ახალი დროის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ჩვენი სახელოვანი წმიერლები და შედაგოგები — დანიელ ჭონქაძე და იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა და პეტრე უმიაშვილი, ივანე როსტომაშვილი და ნიკო ლომოვარი, შოთ ჩიტაძე და ვასილ ბარნოვი, იოსებ ოცხელი და სილოვან ჩენდაძე, ნიკო ცხვედაძე და ნიკო მალრაძე, ალექსი ჭიჭინაძე და ლუარსაბ ბოცვაძე, დიმიტრი უზნაძე და ილია ნაკაშიძე. მათი სამაგალითო საქმეები დღესაც კოცხლობენ სახალხო განათლების მეშევთა გულში და წინ გვიძინებენ უანგაროდ ვემსახუროთ ხალხს, ზევიგნოთ, რომ ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაში დღეს თავდადებული ადამიანები ისევე დაფასდებიან მომავალში, როგორც იხლავაფასებო ჩვენს სახელოვან წინამორბედებს.

ყოველი ერის განათლების რსტორია დამწერლობას უკავშირდება და ქართველი ხალხის განათლების პირველი კერძიც საქართველოში დამწერლობისაგან განუყრელია. ქართულმა ბილინგვამ, რომელიც მეცნიერულად გააანალიზა ეკადემიურსმა გოორგი წერილმა, საესებით ნათელობი, რომ ჩვენს ერამდე მე-7 საუკუნეში არის გონილი ანბანი, და საესებით ბუნებრივია, რომ იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმთავრესს საშუალებას განათლებისა და კულტურის კერძის როგორც წარმოშობის, ისე განვითარებისათვის. საკუთარი ორიგინალური ანბანის შექმნა მე-5 საუკუნეში უკვე გულისხმობს არა მარტო ლიტერატურის, არამედ, განათლების მოწყობასაც, და ისტორიამ შემოვეინახა არაერთი ფაქტი, რომლებიც შორეულ წარსულში ქართველი ხალხის კულტურულ სიმაღლესა და განათლების ხაქმისათვის ზრუნვეს მოწმობენ. საკმარისია დავისახელოთ მე-4 საუკუნიდან არსებული კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, იმ დროის პირმშო, როცა ნეოპლატონიზმი დასავლეთ ეკროპაში უკვე გაერტყელებული იყო. არა მარტო, პლოტინის, იმპლიქისა და პორფირი ტირელის ფილოსოფიური თხზულებაზე მოეფინა მაშინ კულტურულ მსოფლიოს, არამედ, ნემესიოს ემესელისა და პროელე დიალოგოსის ფილოსოფიური ტრაქტატებიც. კერძოდ, ნემესიოს ემესელს უახლოვდება გრიგოლ ნაზარზელი. ეს უკანასკნელი მე-5 საუკუნის გარეურებზე ემყარება არისტოტელიზმს, ცდი-

ლობს ნეოპლატონიზმი შეუგურს ახალ ქრისტიანულ დოგმატიკას, და თავისი თხზულებით უდიდეს გავლენას ახდებს არა მარტო მათნე დამასკელზე, მე-8 საუკუნის ფილოსოფოსში, არამედ, ფართო გავრცელებასაც პოულობს როგორც დასავლეთში, ისე იმოსავლეთში. მე-12 საუკუნის ცისკარზე ქართველი ნეოპლატონიკოსი, მიქაელ ფსელოსისა და ითანა იტალის მოწაფე ითანე პეტრიწი ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნის ნემესიოს ემესელის თხზულებას „ბუნებისათვის კაცისა“ და პროკლე დიადოხოსის წიგნს „კავშირინი ღვთისმეტყველებითნი“. პეტრიწმა გადმოიღო აგრეთვე არისტოტელეს ორი თხზულება. უფრო აღრე, მე-11 საუკუნეში ეფრემ მცირე თარგმნის მე-8 საუკუნის ქრისტიანული სქოლასტიკის ფურცელებლის ითანე დამასკელის „დიალექტიკას“.

ეს თხზულებანი ნათლად მოწმობენ მე-10—11—12 საუკუნეებში ქართული ფილოსოფიური აზრის აღორძინებას, რაც მე-4 საუკუნიდან იწყება. ხოლო ქართული ჯერის მონასტერი პალესტინაში, ათონის მონასტერი საბერძნეთში, გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაასცებული პეტრიწონული სკოლა ბულგარეთში, გელათისა და იყალთოს ეყადემიები, სადაც მოლეაწეობდნენ ითანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ არა მარტო ქართული ფილოსოფიური აზროვნების, არამედ, განათლების კერძის ისტორიაზეც. ქართული მწერლობა, მოყოლებული მე-5 საუკუნიდან, როცა იწერება ცურტაველის მხატვრული პროზა, შემდეგ, მე-8 საუკუნეში, ითანე საბანისძის ქება და მე-10 საუკუნეში გიორგი მეტჩიულის ეპოქალური მნიშვნელობის თხზულება. აგრეთვე მოლეაწეობა ისეთი გამოჩენილი აღამიანებისა, როგორიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი ათონელები, გვიჩვენებენ ქართველი ხალხის მისწრაფებას კულტურისა და განათლებისაკენ. ეს დიდი შინაგანი გულისძვრანი და გონიერივი შემართებანი მქაფიოდ იჩენენ თავს აღრეულ ქართულ რენესანსში არა მარტო საჩვის თმოგველის, მოსე ხონელის, ითანე შავთელის, ჩახრუხაძის პირეელხარისხსხვანი მხატვრული ძეგლებით, არამედ, მსოფლიო კულტურის ისეთი შედევრით, როგორიც ენიალური რუსთველის უკადაგი „ვეფხისტყაოსანია“. ამავე ეპოქის ისტორიული წყაროები, ბასილი ეზოსმოძღვრის, აგრეთვე „ისტორიათა და აზმათა“ ანონიმი აეტორის ნაშრომები, უფრო უაღრესი — ლეონტი მროველისა და ჭუანშერის ისტორიები ასახვენ მაღალსულიერ კულტურის და განათლებისადმი სწრაფვას. ეს თანდათანობითი აღმავალი ხაზი, გარეშე ურდოების თავდასხმის შედეგად, ჩერდება მე-13 საუკუნეში ვიდრე მე-16 საუკუნემდე, როცა ქვეყანა ფერფლად და ნაცრად არის ქცეული. მაგრამ მე-17 საუკუნიდან



კვლავ იწყება აღორძინება, თუმცა ორი აგრძესიული მოსაზღვრეა საუკუნეები ხელმწიფო — ირანი და თურქეთი საშინელ დამანგრეველ როლს ასრულებენ ქართველი ხალხის ცხოვრების ისედაც მძიმე ისტორიულ მონაცემთში.

ძლიერი ლიტერატურული მაჯისცემი, რომელიც მე-16—17—18 საუკუნეებში კვლავ იჩინს თავს, სამოლვაწეო ასპარეზშე გამოიყვანს თეიმურაზ პირველს, ორჩილს, ვახტანგ მეექვსეს, სულხან-საბა თრბელიანს, თეიმურაზ მეორეს, ბესარიონ გაბაშვილს, დავით გურაშიშვილს, ვახუშტი ბაგრატიონს, შემდეგ კი მე-19 საუკუნის სახელგანთქმული მოღვაწეების მთელ პლეადას.

ჩენ გვაქვს ზუსტი ცნობები, რომ მე-18 საუკუნეში შესაძლებელი გამხდარი შექმნალიყო სკოლები, ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერებისათვის საქირო კულტურული ცენტრები. 1755 წლიდან უკვე არსებობდა თბილისის სემინარია, ხოლო შეიდი წლის შემდეგ დაარსდა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი თელავის სემინარია.

გადამწყეტი როლი ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალების როგორც შენარჩუნების, ისე განვითარების საქმეში შეასრულა ჯერ გორგიერების ცნობილმა ტრაქტატმა, რომელიც 1783 წელს დაიდო რუს ხალხთა და საქართველოს შორის, ხოლო შემდეგ უდიდესმა ისტორიულმა აქტმა — რუსეთთან საქართველოს შეერთებამ 1801 წელს, რითაც სინამდვილედ იქცა ჩენი ხალხის ისტორიული მისწრაფება დიდ რუს ხალხთან დამობილებისა და დამეგობრებისადმი. ამ მისწრაფების პირველი საწყისები ჯერ კიდევ მე-11 საუკუნიდან გვაქვს, ხოლო მე-17—18 საუკუნეებში იგი აღინიშნება თეიმურაზ პირველის, ორჩილის, ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ მეორისა და ერთეულე მეორის მოღვაწეობით. რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ქართველი ხალხი იხსნა ფიზიკური მოსპობისაგან და შესაძლებელი გახდა მისი კულტურის როგორც გამომზეურება, ისე შემდგომი განვითარება.

სწორედ XIX საუკუნის გარიერაჟშე, როცა საქართველო შეერთებულია რუსეთთან და მასთან ერთად ინაწილებს ისტორიის ჩარჩინის ბრუნვით გამოწყეულ სიხარულსაც და კატაკლიზმებსაც. იწყება სახალხო განათლების ახალი აღმავლობა, ეწყობა როგორც ზოგად-საგანმანათლებლო, ისე პროფესიული სკოლები. ერთ-ერთი ასეთი სკოლა იყო დახლოებით 155 წლის წინათ დაარსებული, ამჟამად თბილისის პირველი საშუალო სკოლა, რომლის დიდი იუბილე ჩენ რამდენიმე წლის წინათ გადავიხადეთ. XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულისათვის საქართველოში უკვე არსებობდა 250-მდე სკოლა 11.800 მოსწავლით. შემდეგ, როცა მოხდა

სეგლებო რეფორმა, მძარცველური თავისი ბუნებით, მავრამ მარკი ნაბიჭი წინ, ეს რიცხვი თანდათან იზრდება, სახალხო განათლება უფრო რო მკეთრად ვითარდება და ხალხის წიაღიძან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას იწყებენ „უჩინო“, მავრამ ჰქუთა და გონებით საჩინო აღამიანები. ისტორიული მასალები მოწმობენ, რომ 1885 წელს საქართველოში უკვე აჩსებობდა 333 სკოლა 27.000 მოსწავლით. ეს ციფრი შემდეგ თანდათან გადიდდა ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის მიაღწია სკოლების რაოდენობამ 1.762-ს, ხოლო მოსწავლეთა კონტინგენტმა 158 ათასს.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, 1827 წელს პირველად გამოიცა სოლომონ დოდაშვილის „ლოგიის“ სახელმძღვანელო. ეს პირველი წიგნი იყო ამ საგანზე რუსულ ფილოსოფიურ ლიტერატურაშიც. ამავე პერიოდიდან იქმნება როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი სახელმძღვანელოები, მათ შორის 1858 წელს გამოცემული გაბრიელ ქიქოძის „ფსიქოლოგია“, რომელსაც მოწონებით შეხვდა იმდროინდელი მოწინავე პრესა „სოერემენიიეის“ სახით, ხოლო კრიტიკული წერილით გამოხმაურა დიდი რუსი რაზონინელი ნიკოლოზ დობროლუბოვი.

საქართველოს სახალხო განათლების ისტორიაში ღრმა კვალი გაავლო 1879 წელს დაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე იარსება და დიდი მუშაობა გასწია როგორც ქართული სკოლების შექმნის, ისე სახალხო განათლების დემოკრატიზაციისათვის.

საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის მკვლევარი გვერდს ეერ აუვლის 1879 წელს დაარსებულ თბილისის გიმნაზიას, და ერთი წლის შემდეგ, 1880 წელს დაარსებულ ქუთაისის ქართულ გიმნაზიას. მათ დიდი როლი შეასრულეს ხალხის წიაღიძან გმოსტუმი ნიკიერი ადამიანების აღზრდაში, ისე როგორც „ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოების“ სახალხო სკოლებმა.

მთელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში წარიმართა იმ იდეების საღატებელზე, რომელიც შეიმუშავეს რუსი რაზონინელი დემოკრატების მოძღვრებაზე აღზრდილმა ილია ჭავჭავაძემ, აკეპი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა. ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ერტენის, პელიონსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის რევოლუციური-



დემოკრატიულმა შეხელულებებმა ფართო გამოძახილი პოეტი განვითარებულ შემთხვევით არ იყო, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები ასე დაინტერესებული იყვნენ სახალხო განათლების საჭიროობრივ საკითხებით.

ილია ჭავჭავაძემ არაერთი წერილი უძღვნა სკოლას, საერთოდ სხახობ განათლებას. მან სასტიკად გაილაშქრა სწავლა-აღზრდის სქოლასტიკური დოქტრინის წინააღმდეგ, თავისებურად ჩამოაყალიბა 1888 წელს „პედაგოგის საფუძვლები“, დაასაბუთა ქართული საშუალო სასწავლებლების დაარსების საჭიროება, სამეცნიერო დაზალი სკოლების, სოფლის მეურნეობის ქალთა, ხილნარობისა და მეცნიერების სასწავლებლების მოწყობის აუცილებლობა. სრული 60 წლის წინათ ილია ჭავჭავაძემ ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში პირველად თავისებურად წამოაყენა ის იდეა, რომლის ხორციელებამა მაშინ შეუძლებელი იყო და რომელსაც დღეს, რა ოქმა უნდა სულ სხვა პირობებში და მაღალ დონეზე, ვახორციელებო პოლიტიკური განათლების სახით. ილია მოითხოვდა შექმნილიყო „სახელოსნო და სასპეციალო-სატექნიკო სკოლები“, რომლებიც შესაძლებელს განვიდნენ ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას. წინამდებრივი თავისი სასოფლო-სამეცნიერო სკოლა სწორედ იმ მიზანს ისახევდა, და ილია ჭავჭავაძე მხურვალედ მიესალმა მას, როგორც სპეციალური განათლების პირველ მეტეალს.

რუსული პედაგოგიური აზრის, კერძოდ, დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მოძლევრების ფართოდ გავრცელება საქართველოში ფრიიდ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი მოვლენა იყო. უშინსკის კვალიერები დიდმა პედაგოგმა და განმანათლებელმა იაკობ გოგებაშვილმა შერ კიდევ 1865 წელს გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხევი წიგნი“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში. 1872 წელს გამოდის ი. გოგებაშვილის ისეთი მეთოდური ხასიათის წიგნი, როგორიცაა „დარიგება თუ როგორ უნდა წაიყვანოს მასწავლებელმა სწავლა ანბანში და პირველ წიგნში“.

მაგრამ ყველაზე დიდი მოვლენა ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და მეთოდიკის ისტორიაში იყო ორი უკვდავი წიგნი — „ბუნების კარი“, რომელიც 1868 წელს გამოვიდა, და 1876 წელს გამოცემული „დელაენა“. ამ ორ წიგნზე აღინიშავდა მე-19 საუკუნის შეორე ნახევრიდან მე-20 საუკუნის. 30-იან წლებამდე ქართველი აალგაზრდობა. ამ წიგნებმა მართლაც უმაგალითო როლი შეასრულეს საქართველოს სახალხო განათლების ისტორიაში.

იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის აგრეთვე „რუსულე სლოვაკია“, რომლითაც ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა ერთგულმოდა თანას მეორე მშობლიურ ენას — რუსულ ენას, რაც მას სამუალებას იძლევადა თხიფინალში წაეკითხა დიდი რუსი მწერლების რადიშჩევის, პეტ- იანის, ლერმონტოვის, გოგოლის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ტოლს- ტოს, ტურგენევის, ნეკრასოვის, ჩეხოვისა და გორკის უკვდავი თხზულებანი.

ჩევნ არ შეგვიძლია დაწვრილებით გადმოვცეთ სახალხო განათ- ლების ისტორია საქართველოში, მაგრამ მაინც ვენიდა მოვალესენოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც იყო 1866 წელს თბილისის სამასწავლებლო სკოლის, 1876 წელს ამიერკავკასიის სა- მასწავლებლო სემინარიისა და 1881 წელს ქუთაისის სამასწავლებ- ლო სემინარიის დააჩისება.

დიდი როლი შეისრულა პირველი ქართული მარქსისტული ორგანიზაციის — „მესამე დასის“ მრავალმხრივმა მოვალეობამ, კერძოდ, მოწინავე პედაგოგიური იდეების გავრცელებისა და დაწერ- გვის საქმეში. ისეთი ბოლშევიკური გაზითები, როგორიც იყო „დრო“, „პროლეტარიატის ბრძოლა“, „ახალი ცხოვრება“ და „ბრძოლა“, თავიათ ფურცლებშე აშუქებდნენ პედაგოგიური მეცნიე- რების ახალ პრინციპებს, მარქსისა და ლენინის დებულებებს სა- ხალხო განათლების საყითხებზე, ხოლო ეს ბრძოლა მარქსისტული პედაგოგიკისათვის ორგანულად უერთდებოდა მშობელთა საერთო ბრძოლას თვითმშეყრობელობის დამხობისა და ახალი საზოგადოებ- რივი წყობილების, სოციალისტური წყობილების შექმნისათვის.

ქართველი ხალხის განათლებაში გარკვეული როლი შეისრულეს პერიოდულმა ორგანებმა — „პედაგოგიურმა ფურცელმა“ და უუ- ნალმა „განათლებამ“.

მაგრამ სახალხო განათლების ნამდევილი აუგავება, მისი გაფრთ- ხევნა საქართველოში იწყება მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუ- ციის შედეგად დამხობილ იქნა მენშევიკური ხელისუფლება და ქარ- თველ ხალხს სათავეში მისი პირმშო საბჭოთა მთავრობა ჩაიდგა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქარ- თველი, რსევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკე- ბი, განათლების დარგში სწრაფად დაწინაურდა. მან ამ მხრივ ერთბა- ზად გაუსწრო ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, რომ აღარავერი ვთქვათ მის მეზობელ სახელმწიფოებზე — ირანსა და თურქეთზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე აწიოკებდნენ და ათხრებდნენ მას შვენიერ მოწაწყალს. საქართველო გახდა ერთ-ერთი პირველი რეს-



პუბლიკა, რომელმაც ბოლო მოუღო წერა-კითხვის უცოდინარობაზე განათლებისა და განახორციელა საყოველოა-სავალდებულო როგორც დაწყების დროისა, ისე შეიძლიანი განათლება.

თუ რა კოლოსალური ნიხტომი განხორციელდა სახილხო განათლების დარგში დროის სულ მცირე მონაცემზე, მოწმობს შემდეგი ფაქტი: 1921 წელს საქართველოში მხოლოდ 40 საშეალო სკოლა იყო, 20 წლის შემდეგ კი — 736, ხოლო ამეამად გვაქვს 1046 საშეალო სკოლა. ეს ისეთი ნახტომია, რომელიც ძნელია წარმოიდგინოს თვის განვითარებაში რომელიმე ბურჯუაზიულმა სახელმწიფომ.

ასევე უდიდესი ნიხტომი განხორციელდა მასწავლებელთა კადრების მომზადებაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს 5.833 მასწავლებელი პყავდა. ეს რაოდენობა გაორეცდებული ექვემდებარების წლის მანძილზე, ხოლო 1936—1937 სასწავლო წელს 22.899-ს მიაღწია, ამეამად კი რესპუბლიკაში 54.000 მასწავლებელი მუშაობს. შეადარეთ 5 ათასი და 54 ათასი ეს ზრდის ისეთი ტემპია, რომლის პრეცედენტა მსოფლიოში არ არსებობს.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში საქართველო მთლიანი წერა-კითხვის მცირდნეობის რესპუბლიკად გადაიქცა. ფართოდ გაიშალა სკოლამდები აღზრდის ქსელი, შეიქმნა საბავშვო ბაღები და ბაგები. თუ რევოლუციამდე საბავშვო ბაღი მხოლოდ ერთეულები იყო, 1930 წელს რესპუბლიკაში უკვე მუშაობდა 134 საბავშვო ბაღი 10.000-ზე მეტი შეაშვით, ამეამად კი 586 საბავშვო ბაღია, რომლებშიც 36.132 ბაგები — ჩერნი ცხოვრების ყვავილი — იზრდება. რევოლუციამდე ჩერნში უდედმამო და უმეოვალყურო ბავშვებისათვის არ იყო არც ერთი საბავშვო სახლი. 1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთვის, სამი საბავშვო სახლი შეიქმნა, ხოლო 1928 წელს უკვე 30 საბავშვო სახლი მუშაობდა. ამეამად არსებული საბავშვო სახლები უკვე რეორგანიზაციას განიცდიან და უახლოეს წლებში სკოლა-ცერენატებად გადაეცემდებან.

რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, გარდა 1918 წელს დაიპირებული უნივერსიტეტისა, რომლის მძიმე მატერიალური მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საყოველოათოდ ცნობილია. ამეამად რესპუბლიკაში 19 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 38.000 სტუდენტი სწავლობს. ამ უმაღლესმა სასწავლებლებმა 90 ათასზე მეტი სხვადასხვა სპეციალისტი მისცეს ჩერნი ქვეყანას, ხოლო ტექნიკურებმა, რომელთა რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში 8-დან 101-მდე გადიდდა, აგრეთვე რამდენიმე ათასი სპეციალისტი მოუმზადეს სოციალისტურ მშენებლობას.

რევოლუციამდე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ეროვნული მუსეუმი ნიღებათა აყადების შექმნაზე, ამერიკა კი საქართველოს კონსტიტუციას თავის აყადების 1941 წლიდან აჩსებობს 40 სამეცნიერო-საკულტურული ინსტიტუტით, და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აყადებია, რომელიც 1958 წელს დაარსდა. ბევრი ქართველი მეცნიერის სახელი ცნობილია როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მათი სამეცნიერო შრომები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, და ჩვენ სიამაყით შევვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი ჩვენს გზობლიურ საბჭოთა სკოლაშია აღზრდილი.

საბჭოთა სკოლა მთელ მსოფლიოში ყველაზე უკეთესი, ყველაზე პროგრესული, ყველაზე მოწინავეა. და მაინც ვახდენთ მის რეორგანიზაციას, ვინაიდან გვინდა იგი კიდევ უფრო უკეთესი, კიდევ უფრო პროგრესული, კიდევ უფრო მოწინავე იყოს. ამ აზრით, სახალხო განთლების სისტემის რეორგანიზაცია არა მარტო ახალი ნაბიჯი და ახალი სიტყვაა, არამედ, იგი წარმოადგენს რევოლუციას სკოლის ცხოვრებაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ხოლო უფრო დღრე მმხანგ 6. ს. ხრუშჩინის ცნობილმა ბარათმა ც. კ-ის პრეზიდიუმის სასკლზე მეათიოდ განსაზღვრეს ჩვენი სკოლის ძირითადი ნაკლი—ცხოვრებისაგან მოწყვეტა და ამიტომ მისი რეორგანიზაციის აუცილებლობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ 1958 წლის 24 დეკემბერს მიღებული კანონის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესუთე მოწვევის პირველმა სესიმ მიმდინარე წლის 18 აპრილს მიიღო კანონი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“. შემოღებულ იქნა სიყოველთაო საგალდებულო რეანილიანი განათლება 7-დან 15—16 წლის ასაკის ბავშვებისა და მოზარდთათვის, აგრეთვე განისაზღვრა მეორე ეტაპის სკოლის შემდეგი ძირითადი ტიპები: 1) მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის სალამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა; 2) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლა საწარმოო სწავლებით; 3) ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებებები. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ავტოთვე სპეციალური სკოლების შექმნა იმ ბავშვებისათვის, რომლებ-თაც კარგი მონაცემები აქვთ მუსიკის, ქორეოგრაფიისა და სახეოთი

ხელოვნების დარგში. რეორგანიზაცია დაიწყო მიმდინარე, 1959—1960 სასწავლო წლიდან და უნდა ღამითი რეალისტური 3—5 წლის განშვიდებულობაში.

ახალი კანონის შესრულებისათვის განათლების ორგანოებმა უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტერიფებულია სპეციალური ინსტრუქტურია რესპუბლიკაში სასკოლო ასაკის ბევშეთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, რომელიც განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად შეიმუშავა. შემუშავებულია აგრძელებული დებულები საყოველთაო სავალდებულო რვაშლიანი განათლებისა და დაღვენილება შობლების და მათი შემცველა პირების პასუხისმგებლობის შესახებ ამ დარგში. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უკვე წარედგინა პროექტი სასოფლო-სამეურნეო საცუშაოთა სეზონურობის გათვალისწინებით სოფლის სკოლებში სასწავლო წლის დაწყების, დამთავრებისა და არადადეგების ყადების ჟესახებ. მოწყობით საყოველთაო განხილვა ახალი სასწავლო გეგმების და პროგრამებისა ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული სკოლებისათვის. ბევრი რამ ამ მხრივ ჯერ კიდევ დასაზუსტებელი და პრაქტიკაში შესამოწმებელია. მაგრამ ძირითადი უკვე მიღწეულია — შესამებულია ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლისა და ძოსწავლეთა შრომითი ოღზრდის ძირითადი მოთხოვნები. რეაწლიანი სკოლის პროფილი ნათლად არის გამოკვეთილი; იგი მოსწავლეს ძლიერებს არასრულ საშუალო განათლებას, თუმცა უფრო მეტ უკანას, კიდერე წინანდელი შეიძლიანი სკოლა, აგრძელებელი ისეთ პოლიტექნიკურ მომზადებას, რომ თავისუფლად შეძლოს სწავლის განგრძობა მეორე ეტაპის სკოლაში. თავის მხრივ, მეორე ეტაპის სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეს მისცეს დასრულებული ზოგადი საშუალო პოლიტექნიკური განათლება და იმგარად მომზადოს იგი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, რომ თავისუფლად შეძლოს ცხოვრებაში ადგილის დაყვება. აქედან ნათლად ჩანს, რომ პირეელი ეტაპის სკოლაში პრაქტიკულად ხორციელდება შრომითი მომზადების მხოლოდ პირველი ეტაპი, ხოლო მეორე ეტაპის სკოლაში ისეთი ცოდნის მიღება, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დასკიპლინების საფუძვლებით შეთვისებასთან ერთად მოსწავლეს შეაირალებს გარკვეული პროფესიული მონაცემებით.

თქვენ უკვე იცით, რომ, კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაცია საქართველოში ხორციელდება შემდეგნაირად: ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებშე მიმღინარე სასწავლო წლიდან გადავიდნენ I—V კლასები,

ტოლო VI—X კლასები მუშაობენ ამჟამად მოქმედი სასწავლო პროგრამით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მოქმედი ტურინილია მნიშვნელოვანი ცვლილებები საწარმოო სწავლების გაძლიერების მიმართულებით. სამი წლის მანძილზე დამთავრდება ჩეორგანიზაცია რვაწლიანი სკოლის ფარგლებში და 1962—1963 სასწავლო წელს ჩვენ მივიღებთ რვაწლიანი ზოგადი საგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკური სკოლის პირველ გამოშვებას.

მიმდინარე, 1959—1960 სასწავლო წელს საწარმოო სწავლებაზე უკვე გადაყვანილია 168 საშუალო სკოლის IX კლასები 5.538 მოსწავლით; 1960—1961 სასწავლო წელს გადაყვანილ იქნება IX კლასების 40 პროცენტი, 1961—1962 სასწავლო წელს — 70 პროცენტი და 1962—1963 სასწავლო წელს — ყველა IX კლასი. ამგარად, სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაცია ჩვენს რესპუბლიკაში დამთავრდება 1963—1964 წლისათვის და გვექნება სრულიად ახალი სისტემა.

განათლების სამინისტრომ წელს რვაწლიანი სკოლის I—V კლასებისათვის გამოსცა ახალი სასწავლო გეგმის პროექტი, საშუალო სკოლის VI—X კლასებისათვის — მოქმედი, მაგრამ შესწორებული სასწავლო გეგმა, აგრეთვე სასწავლო გეგმები საწარმოო სწავლების ქალაქის საშუალო სკოლებისათვის (სამრეწველო წარმოების პროექტით) და საწარმოო სწავლების სოფლის საშუალო სკოლებისათვის (სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროექტით), სულ ოთხი სასის სასწავლო გეგმა. ამ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს დართული აქვთ მითითებანი სახელმძღვანელოებით სარგებლობის შესახებ, ვინაიდან ჩვენ წელს და შესაძლოა მომავალ წელსაც ზოგიერთ საგანში ძეველი სახელმძღვანელოებით მოგვიხდეს მუშაობა.

— სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაცია აკადემიურებს ერთმანეთთან სკოლის და წარმოებას. ამ მხრივ დიდი ამოცანები დგება არა მარტო სახალხო განათლების მუშავების, სკოლის დირექტორების, მასწავლებლებისა და აღმზრდელების, არამედ, წარმოების ხელმძღვანელების, ისტატების წინაშეც. თუ დღემდე განათლების მუშავი მარტო სკოლაზე ფიქრობდა, ასლა ის წარმოებაშიც მიდის, ხოლო თუ წარმოების ხელმძღვანელი დღემდე მხოლოდ წარმოებაზე ზრუნავდა, ახლა მან სკოლაშიც უნდა შეიხედოს, ხოლო მასთან მისული მოსწავლე უზრუნველყოს ყოველივე აუცილებლივ, ურომლისოდაც საწარმოო ნწავლებას ვერ მივცემო იმ სახესა და ფორმას, რაც რეორგანიზაციამ დასახა.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდა დიდი სახელმწიფო ორგანიზაციის საქმეა და ამ მიზნით გურ კიდევ 1956—1957 სასწავლო წლიდან ჩეორგანიზაციამ დასახა.

პეტლიკის 20 სკოლაში შემოღებულ იქნა საწარმოო სწავლება ჩატარებულ მოძმე უკრაინის რესპუბლიკის გამოცდილების მიხედვით. წელს შემოღებულ ვალად მოხდა აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა გამოშვება. სიმ წითის ატესტატონ ერთად კურსდამთავრებულებმა მოიღეს მოწმობები როგორც პროფესიის, ისე თანრიგის მინიჭების შესახებ. ბევრი მათგანი წარმოებაში დარჩია სამუშაოდ და წარმატებით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

მოსწავლეთა შრომითი ორზოდისა და სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციისათვის წინასწარი პირობები უთუოდ მოამზადა უფრო ადრე დაწყებულმა სწავლების პოლიტექნიზაციამ, რის შედეგადაც რესპუბლიკის 1.365 სკოლაში მოეწყო 1.659 საზეინჯლო, სადურგლო და კომბინირებული სახელოსნო. გარდა ამისა, საშუალო სკოლებში გვაქვს მანქანაომცოდნეობის 369 და ელექტროტექნიკის 185 კაბინეტი. თითქმის ყველა სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი ნაკვეთით. ამ საქმის ორგანიზაციის მიზნით მასწავლებულთა დახელოვნების ინსტიტუტში სპეციალურად შეიქმნა პოლიტიკიური სწავლების მეთოდური კაბინეტი, ხოლო პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში — პოლიტექნიკური სწავლების სექტორი. ეს საყითხები დაუქვემდებარა აგრეთვე განათლების სამინისტროს მოძრავ ლაბორატორიას და ყველა ამ ბერკეტის მოძრავებით რესპუბლიკაში ცოტა როდი გაკეთდა მოსწავლეთა პოლიტექნიკური განათლებისათვის. მავალითად, გასული სასწავლო წლიდან გაღმოყებულ იქნა სტაციონალის მშენების სკოლების მდიდარი გამოცდილება მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შექმნაში. სოფლის ბეჭრნეობის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა ამ ბრიგადების დაბულება. შედეგად ის მიეღოთ, რომ 1958 წლის სექტემბრიდან 1959 წლის 20 ივნისამდე მოსწავლეთა ბრიგადებმა 1.200.000-ზე მეტი შრომადდე გამოიმუშავეს. 1.348 საწარმოო ბრიგადისა და 3.406 რეკლამი რესპუბლიკის 89.014 მოსწავლე მუშაობდა.

ჩვენ ფართოდ უნდა ლავნერვოთ მოსწავლეთა შრომითი ორზოდის ისეთი მასობრივი ღონისძიება, როგორიცაა თვითმომსახურება. კერ კიდევ 1955 წელს თვითმომსახურება თავისი ინიციატივით შემოიღო თბილისის 88-ე სკოლამ (დირექტორი ამხ. ი. გიორგაძე). შემდეგ თვითმომსახურება შემოიღეს 77-ე და 87-ე სკოლებმა. ამეამად ივი გავრცელებულია რესპუბლიკის უმრავლეს სკოლაში. მოწყობილია თვითმომსახურების კუთხეები; არის ტანსაცმლის გასახდელი, სადაც მეგარდებობის მოვალეობას მოსწავლეები ასრულებენ; მოწაობილია სანიტარული საგუშავოები; ნაელასო თოახებსა და დეცენტრებში მოჩიდე კლასები ადევნებენ თვალყურს წესრიგსა და სი-

სუფთავებს; თითოეულ კლასს აქვთ საჭირო ინვენტარი (ცოცხი, თანა-
კის ჭაღრისი, ჩვარი და სხვ); საკლასო ოთახებს თვით მოსწავლების
ასუფთავებენ და მათ უკვე შეგნება უკარნახებს პატივი სურ თავიან-
თი შრომის ნაყოფს — სისუფთავებს და წესრიგს. ბევრ სკოლაში
ძენობისა და ინვენტარის რემონტსაც კი მოსწავლეები ასრულებენ
მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ამ მხრივ დამასხვითებელია
თბილისის 26 კომისარის რაიონის მოსწავლეთა მაგალითი: მათ შეა-
დგეთ 2.136 მეტრი, 246 მაგიდა და 180 საელასო დაფა. 77-ე სკოლა-
ში უფროსი კლასების მოსწავლეებისაგან შემდგარმა სამშა სამშენებ-
ლო ბრიგადამ ჩაატარა ინვენტარისა და სასკოლო შენობის რემონტი.

როგორც უკვე აღვნიშვნე, მიმღინარე წელს საწარმოო სწავლება-
ზე გადაყვანილია 168 სკოლა, რაც შეადგენს საშუალო სკოლათა
საერთო რაოდენობის 15,99 პროცენტს. მომავალ წელს გადაყვანილ
იქნება 427 სკოლა, ე. ა. 40,6 პროცენტი, ხოლო 1962 წელს —
მთლიანად ყველა IX კლასი. თუ მექანიზაცია სახალხო მეცნიერების
საბჭოს 40 წარმოება ემსახურება საწარმოო სწავლების, უახლოესი
სამი წლის მანძილზე ჩვენ დაგვერჩდება 6-ჯერ მეტი ადგილი სა-
წარმოებში. ეს დიდი საქმეა, და ჩვენ გთხოვთ სახალხო მეცნიერების
საბჭოს მოამზადოს საწარმოები ისე, როგორც ამას საწარმოო სწავ-
ლებაზე IX კლასების გადაყვანის უკვე დამტკიცებული გეგმი ითვა-
ლისწინებს. იგივე უნდა ითქვას ადგილობრივი მრეწველობის სამი-
ნისტროს საწარმოებზე, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების,
სოფლის ელექტროსაფგურებისა და სატრაქტორო-სარემონტო სად-
ურების შესახებ.

საწარმოო სწავლება ეხება აგრეთვე სასწავლო-სააღმზრდელო
ტიპის ისეთ ახალ დაწესებულებებს, როგორიც სკოლა-ინტერნა-
ციებია.

პარტიის XX ყრილობის დადგენილებით შექმნილი სკოლა-
ინტერნატების ქსელი ჩვენს რესპუბლიკური კოველწლიურიად ფარ-
ალოდება. მექანიზაცია უკვე გვაქვს 27, ხოლო დაახლოებით ორი თვის
შემდეგ გვექნება 29 სკოლა-ინტერნატი 5.500 მოსწავლით.

სკოლა-ინტერნატების მუშაობას დიდი გასაქინი მიეცა: დაგროვ-
და გარევეული გამოყდილება, ხდება სწავლების შეერთება, მწარ-
მოებლურ შრომასთან. მექანიზაცია სკოლა-ინტერნატების ხაზით ორი
ძირითადი მიმართულება ინარჩუნებს თანაბარ ძალას: პირველი —
სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ყოველმხრივ გაუმჯობესება.
მეორე — მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. გარევეულ
მიღწევებთან ერთად, სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ადგილი აქვა
სერიოზულ ნაკლოვანებებსაც, მაგრამ ეს დროებითი, გარდამავალია;

მთავარი ისაა. ჩომ მთელი დროში შეიქმნა 27 სკოლა-ინტერნაციული გადაწყვეტის ერთი ნაწილი კარგად გაერკევა ანალი ტიპის სასწავლის მიზნებსა და ამოცა-ებში, რისი უკოდინარობაც პირველ ეტაპზე ძალიან აბრიოლებდა ტუშაობას. ამჟამად შეგვიძლია სრული ჩრდილო განვაცხადოთ, რომ უახლოეს ორ წელიწადში უკვე ათობით გვერდება მისიანი სკოლა-ინტერნატები არა მარტო საცეცხით გამართული სასწავლო-სააღმზრ-დელო პროცესით, არამედ, კარგი მატერიალური ბაზითაც.

სკოლა-ინტერნატების მომავალი წლების ძალიან დიდი კონტი-ნენტი უკალებლივ რომ ავთვებისთვის, საჭირო იქნება არა მარტო ახა-ლი შენობებისა და შენობათა ანსამბლების აგება, არამედ, ძეველების გამოყენებაც და მათი შეგუება სკოლა-ინტერნატების საჭიროები-სათვის. საქართველოს კაც ცენტრალური კომიტეტის, პირადად მხარენავ კ. პ. მუავანაძის დახმარებით, გადმოგვეცა არა ერთი შენობა, ხოლო თუ დღემდე სკოლა-ინტერნატების გახსნისა და კონტინგენტის ათვე-სების გეგმა სრულდება, ეს, პირველყოვლისა, ამ ყოველმხრივი მხარ-აცერის შედეგით რესპუბლიკაში დიდი რეზერვები მოიძებნება. მაგრამ საჭიროა ყველა დაინტერესებული იყოს ხელი შეუწეოს ამ ახალი ტიპის დაწესებულებების შექმნას. უყურადღებოდ არ უნდა დაყროვოთ არც ერთი შესაძლებელი, ოდნავ მათიც გამართობული ვარიანტი, თუ გვინდა მასობრივად მოვაწყოთ სკოლა-ინტერნატები და 1965 წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტი ნამდვილად იყიდვა-წოთ 42 ათასამდე. ბევრი რაობონი ამ მხარიდან დიდ თაოსნობას იჩენს, კოლეგიურნეობათა სახსრებით აშენებს სკოლა-ინტერნატების შენო-ბებს, ეძებს შესაგეებელს და დაინტერესებული თავის რაობონში პენდეტს ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი სასწავლო-სააღმზრ-დე-ლო დაწესებულება.

საერთოდ სასკოლო მშენებლობის მხრივ რესპუბლიკაში მდგო-მარეობა წინა წლებში სასურველი იყო. წარმატებით სრულდებოდა მშენებლობის გეგმები — 102, 104, 106 პროცენტიაც კი. წელს ერთგვარი დაბრკოლებები შეიქმნა. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშენებლობის სამინისტრო, პირადად მინისტრი ამ. ს. ლორთქიფანიძე იპოვის გამოსავალს და ყველაფერს გააქცეთებს კეგმის შესრულებისათვის, მით უფრო, რომ წელს რესპუბლიკაში შენდება ყველაზე მეტი სასკოლო შენობა, ვიდრე რომელიმე წინა წელს: უნდა აშენდეს 35 ახალი სასკოლო შენობა, სკოლა-ინტერნა-ტის, 15 სასწავლო კორპუსი, 2 საბაზშვილი ბაზი, 2 სპორტული დარ-ბაზი და მთელი რიგი სხვა ნაგებობანი, რომელთა საერთო ლიტებუ-ლება 48.672.000 მანეთს შეადგენს. განსაკუთრებით მძიმე მდგომა-

რეობაა სკოლა-ინტერნატების საპინათ მშენებლობის ხაზით, მაგრამ იქნება გვაქვს, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად იქნება გამოყენებული წეს სასკოლო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში სახალხო განათლების მდგრამარეობის გაუმჯობესებას ჩვენს ჩესპუბლიკაში ნათლად მოწმობს არა მარტო სასკოლო შენობათა მშენებლობის გაძლიერებელი, ტემპი, რაც წინათ არასოდეს არ ყოფილი, არამედ სკოლების უკეთესი უზრუნველყოფაც სახელმძღვანელოებითა და ოფალსაჩინო ხელსაწყო-იარიალებით. თუ 1950 წელს გამოიცა 99 სახელმძღვანელო სახელმძღვანელო 1.779 ათასი ტირაჟით, წელს გამოიცა 112 სახელმძღვანების წიგნი 3,200 ათასი ტირაჟით, ე. ი. ზრდა თითქმის ორჯერ მეტია. ასევე, თუ 1950 წელს 42 ორიგინალური სახელმძღვანელო გვერდა, ამგად 59 გვაქვს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პირველად გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები: პოლიტექნიკური სწავლებისათვის — 16, სპეციალური სკოლებისათვის — 15 და დამხმარე სახელმძღვანელო — 10. უთუოდ მილწევა პირველი ავერსტოსათვის ყველა სახელმძღვანელოს გამოცემა, რაც წინათ თითქმის არასოდეს არ მომხდარა. სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი შესამნევიდ გაუმჯობესებული და შემცირებულია, თანდათან უახლოედება სახოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის ახალგაზრდობის მომზადების დიდ ამოცანას. მაგრამ, ამ მხრივ, როგორც განათლების სამინისტროს, ისე კულტურის სამინისტროს, რომლის გამგებლობაშიც თავმოყრილია მთელი საგამომცემლო საქმე, დასკირდება დიდი შუშაობა, რათა მკვეთრად გაუმჯობესდეს სახელმძღვანელოების არა მარტო შინაარსი, არამედ. პოლიგრაფიული შესრულებაც. არ შეიძლება სახელმძღვანელო იბეჭდებოდეს ცუდი ხარისხის ქაღალდზე, რომელსაც ტრიბუნებისა და დუპლექსის კი არა, ერთი ფერის აღებაც არ შეუძლია. ასევე არ შეიძლება მოსწავლეს მივცეთ ცუდ ყდა-ზი ჩასმული სახელმძღვანელო.

განათლების ორგანოებისა და პედაგოგიური კოლექტივების შოთხოვნაა, რომ გამომცემლობანი „ცოდნა“ და „საბლიტგაძი“ დაუბრუნდნენ თავის უშუალო უწყებას — განათლების სამინისტროს გინაიდან „ცოდნა“ ფაქტოურად არ არის სასწავლო-პედაგოგიური გამომცემლობა, რაც იგი უნდა იყოს, თუ გვინდა ჩესპუბლიკი სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე საბოლოოდ მოვარდეს. ეს მით უფრო საჭიროა ახლა, სახალხო განათლების მთელი სისტემის რეორგანიზაციისთვის დაკავშირებით, ვინაიდან არა მარტო ახალი სახელმძღვანელოები უნდა შევადგინოთ, ხოლო ძეველი მკვეთრად

გაეთმობესთ, არამედ, მასთან, გადატრით გავადიღოთ სასწავლურავა
პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურის გამოცემაც. ჩენი უნდა იყოს
და ემცნობის პრინციპობებს, რომლებსაც გამზრახული
აქცია თავიანთ საწარმოო სპეციალობაში სასწავლო პროგრამებისა
და სახელმძღვანელოების შედეგი. ეს იმდენად დიდი საქმეა, რომ
თუ განათლების სამინისტროს სასწავლო-პედაგოგიური გამომცემ-
ლობა არ ექნა, დაკისრებულ ამოცანას თავს ვერ გაართმევს.

თვალსაჩინო ხელსაწყოებით სკოლათა კაბინეტ-ლაბორატორიე-
ბის შევსება, როგორც აღნიშნეთ, მკაფიოდ მოწმობს უკანასკნელი
5—6 წლის მანძილზე სახალხო განათლების მდგრამარებობის გაუმჯო-
ბესებას. საქართვისა ითქვეს, რომ თუ 1957 წელს სკოლების კაბი-
ნეტ-ლაბორატორიებმა მხოლოდ 4 მილიონი მანეთის სასწავლო
ხელსაწყო-იარაღები მიიღეს, წელს მათ უკვე შეიძინეს ორნახევარ-
ჯერ მეტი — 10.400.000 მანეთისა. თუ ამას მიეუმატებთ შეფი ირგა-
ნიხაცებისა და საწარმო-დაწესებულებების მიერ სკოლებში უსა-
ყიდლოდ მოწყობილ სახელოსნოებს, რომელთა საერთო ღირებუ-
ლება 28 მილიონ მანეთს შეადგენს, ნათელი გახდება, თუ რა ბევრი
გაეცდა სულ მოკლე ხანები სკოლების საჭიროებათა დასაქმაყოფი-
ლებლად. მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, ვინაიდან რეს-
პუბლიკის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებს ნორმით ესკიროე-
ბათ 127.356.000 მანეთის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები. ექდან
1959 წლის პირველი იანვრისათვის სკოლებს უკვე მიღებული პერნ-
დათ 46.600.000 მანეთისა, შესაძენი დარჩა 80.760.000 მანეთის
თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები.

გარდა იმისა, კაბინეტ-ლაბორატორიების 50 პროცენტი შევსებას
საჭიროებს, რისთვისაც გათვალისწინებულია ყოველწლიურად მხო-
ლოდ 20 მილიონი მანეთი. ზრდის ტემპები ამ მხრივიც დიდი გვაქვს,
რასაც მოწმობს თვალსაჩინო ხელსაწყოების ბაზის მუშაობის მკეთ-
რად გადიდება. მაგალითად, თუ 1955 წელს თვალსაჩინო ხელსაწ-
ყოების ბაზამ სკოლებს მიაწოდა 5.300.000 მანეთის, გასულ წელს
უკვე ორჯერ მეტი — 12.700.000 მანეთის თვალსაჩინო ხელსაწყო-
იარაღები გადასცა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი დახმარებაა, მაგრავ
მასწავლებლების, მოსწავლეების ამოცანაა დიდი მზრუნველობით
მოექცენენ ხელსაწყო-იარაღებს, გამოყენების დროს არ დაახიანონ,
არ გატეხონ. თუ არსებულ ხელსაწყო-იარაღებს სანიმუშოდ მოვუ-
ლით, ისე, როგორც უნდა ვუვლიდეთ, ვუფრთხილდებოდეთ სკოლის
შენობას. შეგვიძლია მივაღწიოთ სკოლის ყველა საჭიროების მაქსი-
მალურ დაქმაყოფილებას. სკოლის დირექტორები, მასწავლებლობა,
როსწავლეთა კოლექტივები, სასკოლო პარტიული, კომკენტრიული,

პიონერული ორგანიზაციები თავიანთ ყოველდღიურ ამოცანად უნდა ისახავდნენ სასკოლო ქონების მოვლა-შენახვას, როგორც ამას ითვალისწინებს მახარაძელთა ძეგლფასი ინიციატივა, რამაც ჩესპებლიკის უკვე მისცა ათეულ მილიონობით დანაზოვი და დიდად შეუწყობელი სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საექითხია სკოლების უზრუნველყოფა ინვენტარითა და დგამ-ავეგით. მისასალმებელია, რომ ზოგერთი საწირმო უკვე გადაყვანილია სასკოლო ივენის დამზადებაზე, თუმცა ჯერჯერობით ეს საქმარისი არ არის. აუცილებელია სპეციალურად მუშაობდეს რამდენიმე ფაბრიკა და ქარხანა მარტოდენ სასკოლო ინვენტარის დასამზადებლად.

არა მარტო საქართველოს, თითქმის უკელა მოვაეშირე ჩესპებლივას აინტერესებს გადაწყვდეს საექითხი ახალი მეჩებისა, რომლებიც უკვე დააკმაყოფილებენ სწავლა-აღზრდის თანამედროვე მოხსოვნებს. დღემდე მასობრივად ისმარება ერისმანის სისტემით დამზადებული სასკოლო მეჩები. მაგრამ იგი იმდენად მოძეველებულია, რომ აღარ შეეფარდება თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური შრომის სწავლების სკოლას. ეს საექითხი არაერთგზის ჯინისილა განათლების სამინისტრომ. შეიმუშავა გაუმჯობესებული ტიპის მეჩების ნიმუში, დაამზადა ტექნიკური ნახაზები, რომლებიც ითვალისწინებული ლითონის საფუძველს. თეორიული უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ახალი ტიპის მეჩები, მართლია, ცოტა უფრო ძვირი დაჭდება, ვიდრე ერისმანის ტიპისა, მაგრამ რამდენიმე ათეული წლით უფრო მეტხანს გაძლებს და უფრო გამოსაყენებელიც იქნება.

კარგი მატერიალური ბაზა აკადემიური წარმატების მაღალ მაჩვენებლებს მოგვცემს. ეს მთავარია. უკანასკნელი ხუთი წლის განმიერობაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესებას მოწმობს მოსწავლეთა მოსწრების ის დინამიკა, რომელიც შემდგვარებულ გამოხატულებას გვაძლევს: 1954—1955 სასწავლო წელს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება შეადგენდა 86,4 პროცენტს, 1955—1956 სასწავლო წელს — 87,7 პროცენტს, 1956—1957 სასწავლო წელს — 87,9 პროცენტს. 1957—1958 სასწავლო წელს — 89,6 პროცენტს, ხოლო 1958—1959 სასწავლო წელს, საბოლოოდ დაუსუსტებელი მონაცემებით, უკვე აქარბებს 90 პროცენტს. როგორც ხედავთ, მოსწავლეთა მოსწრების დინამიკა უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში აღმავლობის ხაზით მიემართება, ეს კი უკვე ნიშნავს მუშაობის გაუმჯობესებას. მაგრამ თუ ლრმად ჩავინიჭდათ ამ კოფრებში, შევნიშნავთ ზოგან არსებულ ჩამორჩენას, მაგალითად,

სამხრეთ ოსეთის აკტონიაშიურ თლქში ვერ ასწრებს მოსწავლეობა — 20,6 პროცენტი, ახალქალაქის რაიონში — 18,9 პროცენტი, სამხრეთ რაიონში — 20 პროცენტი. ზოგ სხვა რაიონშიც მოსწავლეობა მოსწრება ჯერ კიდევ აზასასურეცველია, და კფიქტობთ, ამეამად, როცა სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაცია ხდება, არ უნდა გვერდეს არც ერთი რაიონი, სადაც მოსწავლეობა აკტონიაში მოსწრება სათანადო დონეზე არ იდგეს.

მყვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ აგრეთვე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების როგორც ქსელი, ისე მუშაობა, მით უფრო, რომ ამ ტიპის სკოლების რიცხვი უოცელშილიად იზრდება, ვინაიდან ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასახულია, რომ სახალხო მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე რეაწლიანი სკოლის კურსულმამთავრებულებს საშუალება მიეცეთ მიიღონ სრული საშუალო განათლება და იმაღლონ პროფესიული მომზადება. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები 15 წელია არსებობენ. ამეამად ჩვენ უკვი გვაძეს მუშა ახალგაზრდობის 111 საშუალო სკოლა, ხოლო სოფლის ახალგაზრდობის 166 სკოლა. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს, რომ 1965—1966 სასწავლო წლისათვეს რესპუბლიკური გვერდეს მუშა ახალგაზრდობის 200 და სოფლის ახალგაზრდობის 260 სკოლა. გარდა ამისა, ფართოვდება დაუსწრებელი სწავლების სკოლები, რომლებიც უკვი შექმნილია რესპუბლიკის 5 დიდ ქალაქში.

ასევე ყოველმხრივ უნდა გავაუმჯობესოთ სკოლამდელი საზოგადოებრივი აღზრდის დაწესებულებების მუშაობა, გავათაროთოთ საბავშვო ბავშვის და ბაგების ქსელი. დასამალი არ არის, ამეამად საბავშვო ბავშვზე ისეთი მოთხოვნილებაა, რომ იგი დიდად აქტორებს უმაღლეს სკოლაში შემსვლელთა რაოდენობას. უფრო ადვილი ხდება, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებული უმაღლესში შევიტეს, კიდერე 3—4 წლის ბავშვი საბავშვო ბავშვი მიიღონ. საერთორიო რეგიონების დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სსრესპუბლიკური უნდა განვითარდეს საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი. უკვი გადაღვმულია ნაბიჯები იმისათვის, რომ შეიქმნას ერთიანი სკოლამდელი დაწესებულება — ბაგა-ბალი. 1960 წლის პირველი იანვრისათვის რესპუბლიკას უნდა ექნეს 15 ასეთი ერთიანი სკოლამდელი დაწესებულება 1.765 ბავშვით. იმისათვის, რომ შეგვასრულოთ საქართველოს კვენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება, საჭირო იქნება დაიგმოს ბაგა-ბალის ტიპიური პროექტებით ახალი შენობების მშე-

ნებლობა და მომზადდეს მაღალიფიციური კადრები ასეთი ტე-
პის დაწესებულებებისათვის.

ასევე უნდა გავაძლიეროთ პიონერთა სახლების, პიონერთა და
შოსწავლეთა სასახლეების, ნორჩი ტექნიკოსთა სადგურების, პიონერ-
თა პარკების, სპორტული სკოლების, ნორჩი ნატურალისტთა სადგუ-
რების, საექსკურსით ტურისტული ბაზების სკოლის გარეშე მუ-
შაობა. ამ დაწესებულებათა საერთო რიცხვი 157 შეადგენს. რეს-
პუბლიკის სკოლის გარეშე დაწესებულებების 1.388 რაზმი მეორე
საკავშირო ექსპედიტორით კი არის ჩაბმული, რომელსაც უავალე-
ბული აქვს მშობლიური მხარის კომკავშირის ისტორიის შესწავლა-
უს ხელს უწყობს ბავშვთა ინტერნაციონალურ აღზრდასაც, ხოლო
ჩენი სახალხო განათლება უკვე თავისი ბუნებით ინტერნაციონა-
ლურია. რესპუბლიკის 4.210 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან
ქართული სკოლაა 2.892, რესული — 286, სომხური — 246, აზერ-
ბაიჯანული — 157, აფხაზური — 38, ოსური — 238, ავარული —
4, ქურთთა — 1, შერეული — 349. გარდა ამისა, ისწავლება ინგ-
ლისური, გერმანული, ფრანგული ენები, რამდენიმე სკოლაში შემო-
დებულია სპეციალური კლასები, სადაც ნაცვლად V კლასისა, მეორე
კლასიდან იწყება უცხო ენების შესწავლა, იმ ვარაუდით, რომ მა-
ლალ კლასებში რამდენიმე საგანი მთლიანად უცხო ენაზე ისწავ-
ლებოდეს.

განათლების სამინისტრო სერიოზულ ყურადღებას აქცევს მოს-
წავლეთა ინტერნაციონალურ აღზრდას, რაც ხორციელდება არა
მარტო ისტორიისა და ლიტერატურის, გეოგრაფიისა და კონსტიტუ-
ციის სწავლების დროს, არამედ. ისეთ ლონინისებათა საშუალები-
თაც, როგორიცაა თეოთმოქმედება, მჭიდრო კავშირის დამყარება
მოძმე რესპუბლიკებისა და დემოკრატიული ქვეყნების სკოლებთან.
ეს მუშაობა კარგად აქვთ დაუყონებული ქალაქ თბილისის პირველ
საშუალო სკოლას, აგრეთვე 77-ე, 88-ე, 55-ე, 93-, 23-ე და
სხვ სკოლებს. კერძოდ, თბილისის 77-ე სკოლას მეგობრობა აქავში-
რებს მოსკოვის 204-ე სკოლასთან. რომლის დირექტორი ამ. მ. ა.
პოლიაკოვა დღეს ჩენი ყრილობის დელეგატია. თბილისელ მოსწავ-
ლებს ასევე მჭიდრო ზეგობრობა აქვთ მოძმე რესპუბლიკების, მათ
შორის სომხეთის სკოლებთან. 89-ე ქართული სკოლის მოსწავლეები
ამას წინათ იყვნენ ერევნის ხაჩატურ აბოვიანისა და მაიაკოსესის სა-
ხელობის სკოლებში. მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს აღნიშნული
სკოლების კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან, ხოლო
თავიანთ სკოლაში მოაწყეს სომხეთის რესპუბლიკის სახალხო მეურ-
ნეობისა და კულტურის მიღწევათა გამოფენის კუთხე.

თბილისის 95-ე სომხური სკოლა დაკავშირებულია 99-ე ქართულ და 73-ე აზერბაიჯანულ სკოლებთან. საინტერესო სანახავის იყო მათ მიერ მოწყობილი მეგობრობის საღამო — იმიერკავკასიის სამი მომებ ხალხის საღამო, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას. გულს ახარებდა მეგობრობის საღამო, რომელიც ერთად მოაწყეს 78-ე რუსულმა, 92-ე სომხურმა, 84-ე და 89-ე ქართულმა სკოლებმა, როცა ისინი უხევდნენ ჩვენი რესპუბლიკის გამონებილ იდამიანებსა და საბჭოთა არმიის სახელოვან მეომრებს. 88-ე ქართული სკოლის მოსწავლებელთა და მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ეწვია ბელორუსის დედაქალაქ მინსკს. ხოლო 81-ე რუსული სკოლა — ბაქოს. მციდრო კავშირის დამყარებული 84-ე ქართული სკოლის მოსწავლეებსა და თათრეთის ცერონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოსწავლეთა შორის. მათ ერთმანეთს გაუგზავნეს 250-ზე მეტი წერილი. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 12 სკოლისა და № 10 სომხური სკოლის მოსწავლები იყვნენ მოსკოვში, სადაც ისინი გაეცნენ ფაბრიკა „პარზის კომუნის“ მუშაობას. გადმოიღეს მოწინავე გამოცდილება. ძალიან კარგად მოიქცა თბილისის 26 კომისრიის რაიონი, როცა მოაწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობისადმი მიძღვნილი გამოიერა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით. რაიონის სკოლებში მოწყობილია როსწავლეთა ნაკრები არა ერთი სპორტული გუნდი, რომლებშიც მოსწავლეთა სპორტული ღირსებისათვის ერთად იბრძიან რუსი, ქართველი, სომები, აზერბაიჯანელი, აფხაზი და ოსი მოსწავლეები. თბილისის 93-ე სომხურ სკოლას, სადაც დირექტორია ამ. გ. სისაკიანი, მეგობრობა აქვს დამყარებული ჩეხოსლოვაკიის ქალაქ იგლოვას სკოლასთან. ამ მეგობრობას უკვე 6 წლის ისტორია აქვს. 93-ე სკოლა მეგობრულად არის დაკავშირებული რიგის სკოლასთან, აგრეთვე შორეული ჩრდილოეთის ეკვინთა ოლქთან. ამ სკოლამ მოაწყო მეგობრობის კლუბი, უშვებს გაზიეთს „მეგობრობის“ სახელშოდებით და „პიონერსკაია პრაედას“ რედაქტორის საშუალებით კავშირი აქვს დამყარებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის 24-ე სკოლასთან. სასიხარულოა თბილისის 67-ე ქართული სკოლის (დირექტორი ლ. მელაძე) მეგობრული ურთიერთობა ჩინეთის, კურმანის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ლაიპციგის მე-16 და ქ. ერევნის 67-ე სკოლებთან. ასეთ კავშირულთიერთობას ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იგი მაღლებს მოსწავლეთა შეგნებულობას, დისციპლინიანობას, ხელს 3. მარწავლებელთა ყრალობა.

უწყობს მომავალი ღირსეული საბჭოთა მოქალაქის კომუნისტური
სულისკეთებით აღზრდას.

როგორც მოგეხსენებათ, აღზრდის ცენტრალური ფიგურა მას-
წვლებელია.

საქართველოს მრავლად პუავს საუკეთესო მასწავლებლები, კარ-
გი დირექტორები, განათლების უანგარო მუშავები. რეპუბლიკაში
ეკართოდ არიან ცნობილი გ. კობახიძე, ა. ტიმოფეევა, ი. გორგაძე,
გ. ჩერქასოვა, ნ. კიკვაძე, ე. გეგიძე, ლ. მელაძე, ა. არეთინიანი,
თ. მაჭუტაძე, ა. ქურიძე, მ. მურადოვი, ვ. წულეისკირი, ნ. ალადა-
შვილი, ნ. ჯაფარიძე, ვ. ჩხენევლი, ტ. ტყემალაძე, ვ. რიაბინინი,
მ. ბალანჩივაძე, პ. ბარამიძე, ა. ნონეზოვი, ხმალაძე, გ. ხოხლენკო და
მრავალი სხვ. ისინი უანგაროდ ემსახურებიან სახალხო განათლების
საქმეს, მოსწავლე იხალვაზრდობის კომუნისტური სულისკეთებით
აღზრდას. მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება ინერგება რეს-
პუბლიკის სკოლებში და ჩვენი ამოცანაა ფართოდ გავატრულოთ ის
ჯელა სკოლაში.

უკელა სკოლა სანიმუშო უნდა იყოს. მის მიღწევა შეიძლება.
თუ მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით სკოლის ხელმძღვანე-
ლებისა და მასწავლებლების შერჩევას, ხოლო ამ საქმეში ყოველ-
მხრივ შეგვიწყობენ ხელს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა,
კომერციული ორგანიზაციები. უკელამ უნდა შევიგნოთ, რომ ერთი
სუსტი ან ცუდი მასწავლებელი ამასინჯებს 30—60 ბაზებს მაინც.
საბჭოთა სკოლა წმიდათა წმიდა დაწესებულებაა და არავის არ უნდა
მივცეთ უფლება, რომ იქ ტალახი შეიტანოს, რომ მას თუნდაც ერთ-
მა ადამიანმა ლაქა მოსცხოს. უნდა მივიღოთ ზომები მასწავლებელთა
შემადგენლობის გისაუმჯობესებლად.

დიდი ლენინი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში, რომლის
სათაურია „ფურცლები დღიურიდან“, მთელი სერიოზულობით აყე-
ნებდა საკითხს ახალ სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო მას-
წავლებლის მდგომარეობისა და როლის შესახებ. ეს წერილი, რო-
გორც თქვენთვის ცნობილია, დაიწერა 1923 წელს, და ჩვენი დიდი
ბელადი მაშინ ამბობდა: „სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სი-
სილლეზე უნდა დავაყენოთ, როგორზედაც იგი არასოდეს არ მდგარა.
არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურუუაზიულ საზოგადოებში...
მისკენ უნდა მივისწრაფოდეთ სისტემატური, დაუცხროობმელი, და-
ერთებული მუშაობით, უნდა ვცდილობდეთ მის გონიერივ ამაღლე-
ბას, მის ყოველმხრივად მომზადებას დიდი საქმისათვის და — რაც
კველაზე უმთავრესია, უპირველესი — მისი მატერიალური მდგო-
მელი



მარეობის გაუმჯობესებას. სისტემატურად უნდა გავაძლიეროთ მიუხუცეს წაობა სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებლად".

ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვიბრძოდეთ ლენინის ამ მითიობის პრაქტიკულად შესრულებისათვის. კერძოდ, გამსიკუთრებული უზრადლება უნდა მიეკუთხ სოფლად მომუშავე მასწავლებლების ეზრუნველყოფას. საჭიროა განხსნელად სრულდებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 ოქტომბრის № 246 დადგრილება „დაწყებითი და შეიძლიანი სკოლების მასწავლებელთათვის შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ“. 54.000 მასწავლებლიდან 39.000 სოფლად მუშაობს, ხოლო მათგან 16 ათასზე მეტი დაქირავებულ ბინებში ცხოვრობს. ამიტომ სოფლად მასწავლებელთა ბინების შენებლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიქცონ რაიონულმა აღმასკომებმა, რათა ბოლომდე სრულდებოდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 26 მარტის № 517 დადგრილება „სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის საბინაო შენებლობის შესახებ“. 1954—1956 წლებში ოვითდაბეგვრის წესით სოფლად პასტავლებელთათვის უნდა აგებულიყო 450 ბინა, ფაქტურულ კი შენდა მხოლო 172. 1957 წელს მხოლოდ ორი ბინა აშენდა, 1958 წელს კი ხუთი სახლიდან არც ერთი არ აშენებულა.

მაგრამ ეს სულაც არ იყო მიზეზი იმისა, რომ თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 391 კურსდამთავრებულობან 1958 წელს 90 კაცი სამუშაოზე არ გამოცხადდა, ხოლო 16 კაცმა საგზურიც კი არ მიიღო. ასეთი ფაქტები შეუფერებელია ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტისათვის, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ გატარდება მოთხოვნა — უმაღლესი სკოლის დამთავრების ღიპპლომი მხოლოდ მაშინ მიეცეს ახალგაზრდა სპეციალისტს, როცა იგი ორ-სამ წელს მაინც პრაქტიკულად იმუშავებს იქ, სადაც მას განათლების ორგანოები გაგზავნიან, ეს იქნება გონივრული, პუმანური ექტიც, რაც პასუხისმგებლობას აუმაღლებს იმას, ვისაც ბოლომდე არ შეუგნია შემდეგი ელემენტარული კეშმარიტება: საბჭოთა სახელმწიფო უმაღლეს განათლებას ახალგაზრდას იძლევს წალენის ნაოთლარითა და ნაშრომით, ამიტომ ახალგაზრდა, რომელმაც ცოდნის ასეთი დიდი სიკეთე მიიღო, ვალდებულია ემსახუროს თვეს მშობელ ხალხს იქ, სადაც თვით ამ ხალხის ინტერესები მოითხოვენ.

ჩვენ ამჟამად გვყავს 1000-მდე ხანდაზმული მასწავლებელი. უმრავლესობამ კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი გალი სამშობლოს წინაშე. ახლა ისინი უნდა გავიღინენ პენსიაზე — სახელმწიფო უზრუნველყოფაზე. მარტო თბილისში 446 ასეთი მასწავლებელია.

მათ ადგილზე უნდა მოვიდეს ლირსეული ცვლა, რომელსაც საშუალების რით გავუწიოთ ყოველმხრივი მეთოდური დახმარება. ამ მხრივაც მალიან დიღი ამოცანა ეკისრება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს, რომელმაც უკანასკნელ წლებში უთუოდ გააუმჯობესა გუშაობა. საკმარისია ითქვას, რომ 1956 წლისან დღემდე ინსტიტუტმა გადაამზადა პოლიტექნიკური ციკლის სივნების 2.754 მასწავლებელი; მიმდინარე წლის აგვისტოში მოაწყო საწარმოო სწავლების ხელმძღვანელი ინჟინერების, ტექნიკოსების, სსტატების, იგრონომების, აგროტექნიკოსების, ზოოტექნიკოსების 6 დღიანი კურს-სემინარები 200 კაცისათვის.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და სკოლაში სპორტული მუშაობის გაძლიერება ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული ამოცანაა. ასევე ადგილობრივის სკოლებში 1.862 ფიზიკულტურის მასწავლებელი მუშაობს. ამ მხრივ მდგომარეობა საესკოლო დამაქმაყოფილებელია, მაგრამ ვერ კიდევ გვაკლია სასპორტო ბაზები, მაშინ როცა ამოცანად ვისახავთ თითოეულ სკოლასთან ფიზიკური კულტურის სწავლებისათვის ნირჩმალური პირობები შევქმნათ. ბევრი სკოლა ოვითონვე აწყობს ასეთ ბაზებს, უკანასკნელი 2—3 წლის მანძილზე სკოლებმა მოაწყეს 472 სპორტული მოედანი, მძლეოსნობის 291 სექტორი, 284 სასპორტო ოთახი, 205 სასროლო ტირი. აშენდა და რეკონსტრუირებულ იქნა სკოლის 40-მდე სასპორტო დაბაძიში. ერთ მილიონნამდე მანეთის სასპორტო ინფრასტრუქტურა ჩვენი სკოლები. მაგრამ, განათლების სამინისტროს ნაკლია, რომ დაწყებითი კლასის ყველა მასწავლებელს არ შეუძლია ფიზიკულტურის გაცემოლის ჩატარება.

ჩვენი ამოცანაა ფართოდ დავნერგოთ ტანცარჯიში, გარდავქმნათ შეაშვთა სპორტული სკოლების მუშაობა, ავამბალლოთ მოსწავლეთა სპორტული ოსტატობის დონე, და ის დიდი წარმატება — პირველი დღილი, რომელიც მოსწავლეთა V ოლიმპიადაზე მოვიმოვეთ, ხოლო VI ოლიმპიადაზე დავკარგეთ, — VII ოლიმპიადაზე კვლავ დავინტენოთ.

ყველა ზომა უნდა მიტოლოთ იმისათვის, რომ მკვეთრად გვეუმჯობესოთ დაწყებითი სკოლების მუშაობა. არსებითად, დაწყებით სკოლაში წყდება მომავალი მოქალაქის ფორმირების თავდაპირველი ძირითადი საექითხები. მიღებულია ზომები, რათა დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაინიშნოს მსოლოდ მაღალევალისური, უძილესი სპეციალური განათლების შეზნე. ყოველმხრივ გამართლებული პედაგოგიური მონაცემების აღამიანი. ახლა, როცა სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაცია სწავლებასთან მწარმოებლები

სრომას იერთებს. მასწავლებლების ამოცანა ერთოორად დიდდება. ერნაიდან შრომაშ შედეგად უნდა მოვცეც არა ზოგადსაგანმანჯურული გადასცა და დისციპლინების სწავლების შესუსტება, არაედ, პირიქით, გაძლიერება. ამტომ ქართული ენისა და ლატერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მთემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის სწავლებას ჩვენ კვლე დაუთმობო ვანსაკუთრებულ ყურადღებას. ამჟამად მასწავლებელი შეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს ზოგადსაგანმანთლებლო საგნების სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეს, ვინაიდან კანონი ითვალისწინებს ხსენებული დისციპლინების სწავლების მკვეთრად გაუმჯობესებას და გამორიცხავს მათი სწავლების ოდნავ შესუსტებას ც. კ.

ჩვენ მოვესალმებით რსუსრ პედაგოგის მეცნიერებათა ეკადემიის პროექტს სკოლაში ისტორიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 16 სექტემბრის „პრავდამ“ გამოაქვთავნა. ამ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის ცოდნით მოსწრევე ახალგაზრდობის შეიარაღების საქმეში. ამჟამად, როცა სკოლის რეორგანიზაცია ხდება, ისტორიის კურსის ასეთი აგება კიდევ უფრო მეტ როლს შეასრულებს. სავსებით ეტანებმებით IV, V, VI კლასებში ისტორიის ისე სწავლებას, როგორც პროექტშია გათვალისწინებული. ასევე მიზანშეწონილია VII, VIII კლასებში საბჭოთა კავშირის ისტორიის ელემენტარული კურსის შემოღება საზღვარგრეთული ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიისთვის დაკავშირებით. სრულიად უდავოდ მიგვაწინია სწავლების მეორე ეტაპზე ახალი და უახლესი ისტორიის სისტემატური კურსი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ისტორიის სისტემატური კურსი მე-19 და მე-20 საუკუნეებზე აქცენტირებით. მისასალმებელია აგრძოვე, რომ დიდ მიღწევად არის მიჩნეული მოკავშირე რესპუბლიკების ისტორიის შესწავლა. ჩვენ დიდი ხანია, რევოლუციამდელი პერიოდიდან ესწავლით საქართველოს ისტორიას. ამჟამად ყველა პირობა გვაქვს, რომ მისი სწავლება გაეაუმჯობესოთ, ვინაიდან შეემნილია სახელმძღვანელოები, მომზადებული კალიფიცური კადრები. მშობლიერი ისტორიის შესწავლა ნამდვილად არის მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის დადმნიშვნელოვანი ფაქტორი, ნაციონალური უცნობისაკენ სკოლის საესებით გამართლებული პედაგოგიური პრინციპის საღუძველზე.

ახლა, როცა სკოლის რეორგანიზაციის პირველი ნაბიჯებია გადადგმული, მაღლება განათლების ყველა მუშაკის, მასწავლებლისა და აღმზრდელის როლი. მაგრამ ასევე დიდი მოვალეობა კვისრებათ სკოლის პარტიულ, კომუნისტულ, პროფესიულ და პიონერულ იჩ-

განიზაციებს. ფაქტები მოწმობენ, რომ სკოლის დირექტორები, სახ-
ჩივლო ნაწილის გამგები, კლასის ხელმძღვანელები, მასწავლებლები
ძლიერებენ დახმარება-ხელმძღვანელობას სკოლის კომისიის ული
და პიონერული ორგანიზაციებისადმი. იმან უთუოდ მოგვცა სასკო-
ლო კომისიის ული ორგანიზაციების, პიონერთა ჩაზმეულებისა და
ჩაზმების მუშაობის გამოცოცხლება. მათი შეკრების ომატიკაც უფ-
რო მრავალფეროვანი, უფრო შინაარსიანი ხდება. ერთ-ერთი სერიო-
ზული ამოცანაა შეესწავლოთ და განვიაზორციელოთ საკავშირო
ალკე ცენტრალური კომიტეტის VIII პლენურის, XIII ყრილობისა
და მეორე პლენურის დადგენილებანი პიონერული ცოდნისა და ჩვე-
ვების ნუსხის (საფეხურების) შესახებ. სასიხარულო, რომ კომისიი
პიონერები, პიონერები ასრულებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო
შრომას, მონაწილეობენ პარკების გამწვანებაში, სკოლის ეზოს, ქუ-
ჩის, პალების კეთილმოწყობაში, ათასობით ტონა ლითონის ჯართ
აგრძელებენ, ამავე დროს კი მოწინავენი არიან სწავლასა და ყოფ-
ეცვაში.

მრავალფეროვან და საინტერესო მუშაობას ატარებენ თბილი-
სის 43-ე საშუალო სკოლის (დირექტორი გ. კორსაველი), უფროისი
პიონერხელმძღვანელი მათიაშვილი) და 48-ე სკოლის პიონერული
ორგანიზაციები. მათ ჩატარეს შეკრებები თემებზე: „ლენინის ცხოვ-
რება და მოღვაწეობა“, „ლენინური კომისიის სახელოვანი გზა“, „
წიგნი ჩვენი მეგობარია“, „შეგვეძლოს თვითმომსახურება“, „უნდა
იცოდე გემრიელი საღილის მომზადება და სუფრის გაშლა“.

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის, მუხაესტარიეს, წყავროეს, ბა-
თუმის რაიონის მახანგაურის, ახალშენის, გონიოს სკოლების კომ-
ისავშირელებმა და პიონერებმა თავი გამოიჩინეს ჩაის კრეფაში. მა-
ხარდის რაიონის სოფ. განახლების შვიდწლიანი სკოლის მოსწავლე
კომისიის ული და პიონერები ისე დაუუფლენენ შრომითს საქმიანო-
ბას, რომ შეაკეთეს სასკოლო ინკუნაბული, ისტოგლეს ჩარჩხე ხის და-
მუშავება, ბურღა, რანდვა, ხერხვა. თბილისის ოქტომბრის რაიონის
სასკოლო კომისიის ულმა ორგანიზაციებმა შეაგრძელეს 98 ტონა
ლითონის ჯართი და 8 ტონაზე მეტი მაკულატურა.

ჩვენ მისაბად მაგალითად გვინდა დავასახელოთ თბილისის 41-ე,
51-ე, 76-ე, 81-ე, 93-ე სკოლების კომისიის ული მოსწავლეები,
რომლებიც სანიმუშონი არიან სწავლასა და ყოფაქცევაში.

კომისიის, როგორც პარტიის უახლოესი თანაშემწე, კიდევ
უფრო მეტად უნდა დაეხმაროს სკოლას, ხოლო განათლების მუშა-
კებამა ყოველმხრივი ზრუნვა უნდა გაუწიონ სასკოლო კომისიის ულ
და პიონერულ ორგანიზაციებს.

მოსწავლეთა შეგნებულობის მაღლება, თვით აკადემიური წარმატების უზრუნველყოფა ბევრად არის დამოკიდებული არა მატერიალური კარგ საბეჭდმდვანელოზე, არამედ, ეთიური და ესთეტიკური აღზრულის სწორ ორგანიზაციასა და მიმართულებაზეც. ჟველ სკოლას ჰქონდა ეთიურის სპეციალური კურსი, რომელიც ჟველი წყობილების განმტკიცებას ემსახურებოდა. ეს იყო მოსწავლეებში ჩელიგიური რწმენის გაძლიერება, მოყვასისადმი სიყვარულის ქადაგება, მონური მორჩილებისა და ბატონეაცური მორალის დაცვა. ჟველი ეთიური ამ შინებს მართლაც იხორციელებდა.

ჩვენ გვაქვს ახალი წყობილება, ახალი მორალი, და საბჭოთა სისტემის ზერმარივი საფუძვლების განმტკიცება მოსწავლეთა არსებაში ისეთივე ზრუნვის საგანი უნდა იყოს, როგორც მეცნიერებისთვის საფუძვლების სწორება.

სელოვნების ყველა დარგი ადამიანის აღზრდას ემსახურება, სელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის შეგნებულობის მაღლებას. მაგრამ ხშირად ჩვენ იოლად ვეკიდებით კინო-თეატრების რეპერტუარის შერჩევას, რეპერტუარი კი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლს ასრულებს. არ შეიძლება კინოსა და დრამატული თეატრის ყველა სპექტაკლი სკოლის ასაკის ბავშვებს უზრუნოთ. ბავშვი საერთოდ უდიდესი მიმბადველია და მისი ფსიქოლოგია ჯერ კიდევ რბილ სანთელსა ჰგავს, რომელიც ადვილად იღუნება. კინოსა და თეატრის დიდი მორალური ზემოქმედება, ასაკისაოვის შეულერებელი რეპერტუარის შემთხვევაში, უარყოფით შედეგს მოგეცემს. ბავშვის მორალური და ფსიქოლოგიური მომზადება ახალი წყობილების განმტკიცების ამოცანათა შესაბამისად, მოითხოვს მივხედოთ რეპერტუარს, გულდასმით შევარჩიოთ იგი და მოსწავლის გონებას ვუჩვენოთ არა უველავერი, რასაც კინოს ეკრანი ან თეატრის სცენა გაღმოსცემს. შევთანხმდეთ, რომ აქ ხელოვნების მუშაქებმა დახმარება უნდა გავვიწიონ, ხოლო ჩვენ გვმართებს პედაგოგიური ტაქტი, პასუხისმგებლობის შეგნება ყველა ამ საკითხის გადაწყვეტის დროს.

განათლებისა და კულტურის სამინისტროებმა 1954 წლის 24 მარტს მიიღეს ერთობლივი ბრძანება თეატრებისა და სკოლების კავშირის განმტკიცების შესახებ. ამ ბრძანების შესრულებისათვის ცოტა როდი გაკეთებულა, მაგრამ ნაკლი ჯერ კვლავ სერიოზულია. ვერ დავეთანხმებით მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ხელმისაწვდომობას, როცა უმთავრესად დგამს თარგმნილ პიესებს ან ზღაპრუების ინსცენირებას. ასევე იქცევა თოჯინების სახელმწიფო თეატრიც, ვფიქრობთ, აუცილებელია მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების რეპერტუარის გადასინჯვა. რაც შეეხება სახალხო

თეატრებისა და კულტურის სახლებს, მათაც უნდა პქონდეთ შოთა რეზა
 ლე ახალგაზრდობისათვის შერჩეული სცენტრალური. თუ კულტურული
 ბისა და კინოს მუშაობა ამ პრინციპზე აიგება, ეს იქნება დიდი დაზ-
 მარება მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. განათლების
 სამინისტრო ამ მხრივ უკვე გარევაულ ნაბიჭს დგამს, კინოსტუდია
 „ქართულ ფილმის“ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სამინისტროში
 დაუკვეთა, ღირებულება გადაუხადა და დაადგმევინა ისეთი სასწავ-
 ლო დოკუმენტური ფილმები, როგორიცაა „ნორჩი ტექნიკის“,
 „ნორჩი ნატურალისტი“, „ილია ჭავჭავაძე“, „აკაკი წერეთელი“.
 განზრახული გვაძეს ასეთივე ფილმი შევქმნათ ვაჟა-ფშაველაზე.
 შეგრძო გადაღებულია ისეთი ფილმებიც, რომელთა ვიწრო ფირზე
 ცამზადება და სასკოლო კინოს საშუალებით თვით სკოლებში ჩე-
 ნება შეიძლებოდა. მაგალითად, ამის წინათ ჩენენ ენახეთ კინოპერა-
 ტორ გორგი ასათიანის მიერ გადაღებული შევნიერი დოკუმენ-
 ტურა ფილმები ნეპალზე. თუ კინოსტუდიას შეუძლია ეს ფილმი
 წიწრო ფირზე დაგვიმზადოს, განათლების სამინისტრო მას შეიძენდა.
 უინაიდან იგი ძალიან საგირითა ჩენენ სკოლაში ისტორიისა და
 გიოგრაფიის სწავლების დროს თეალსაჩინო ილუსტრაციისათვის.

თეატრებისა და კინოს რეპერტუარი რომ გაუმჯობესდეს, პირ-
 ველ რიგში აუცილებელია შეიქმნას საუკეთესო მოთხოვნები, პოე-
 ზები, საერთოდ მხატვრული ნაწარმოებები მოსწავლი ახალგაზრდო-
 ბისა და სკოლის ცხოვრებაზე. ამ მხრივ შეურლები, მიუხედავად სა-
 ბავშვო ლიტერატურის ერთგვარი წინსკლისა, მაინც ვალში არიან
 საბჭოთა სკოლის წინაშე. ჩენენ მოველით ახალ მხატვრულ ნაწარ-
 მოებებს საბჭოთა სკოლის, მისი მასწავლებლის, სახალხო განათლე-
 ბის მუშაკის ცნოვრებასა და მოლგაწერობაზე.

ასევე ბევრს მოველით პედაგოგიკის მეცნიერების ფრონტის
 ბუშავებისაგან. ახლა ისინი მთლიანად უნდა ჩებან სკოლის წინაშე
 დაყენებული ახალი მოცუნების გადაწყვეტის საქმეში. ჩენენ ვეყავს
 საქმაოდ ძლიერი ჯგუფი მეცნიერებისა, რომლებმაც არა ერთი ნაშ-
 რომით გაამდიდრეს არა მარტო ქართული პედაგოგიური აზრი, არა
 ტედ, გარევაული წლილიც შეიტანეს საბჭოთა კაუშირის პედაგოგი-
 კის მეცნიერების განვითარებაში. საქმარისია ითქვას, რომ პროფ.
 დ. ლორთქიფანიძის შრომა უშისნესებ გამოიცა როგორც
 ქართულ და რუსულ, ისე უნგრულსა და რუმინულ ენებზე.

რეორგანიზაციის შუქზე სავსებით აშეარა გახდა, რომ ბევრი
 რამ, რაც ძველიდ გვქონდა პედაგოგიკის დარგში, ახალს აღარ შეე-
 ფერება. ავილოთ გაკვეთილი. მართალია, გაკვეთილი, როგორც იგი
 პირველად განსაზღვრა დიდმა ჩეხში პედაგოგმა იან ამოს კომენსკიმ.

დღესაც ჩასწავლო მუშაობის ძირითად ფორმად, შესაძლო
სწავლების უკვდავ ფორმადაც, მაგრამ მისი ერთი ძირითადი ნაყვანით მოსწავლის პასიონა — ჩეორგანიზებულ სკოლაში თავიდან უნდა დაიცილოთ, მეტი გასაქანი მივცეთ მასწავლებლის ინიციატივის — უფრო აქტიური გახადოს მოსწავლე. იმის მისაღწევად საჭირო გამზღვიულად უარესოთ გაკვეთილის აგების დამკვიდრებული შემღლინი, ბასწავლებელს საშუალება მივცეთ არა სქემის მიხედვით, არამედ, თავისი საკუთარი უნარის შესაბამისად აირჩიოს გაკვეთილის ისეთი სტრუქტურა, რომელიც სწავლების შინაარსსა და მიზანს უკეთ უპასუხებს. ამ განასერში უნდა შეიცვალოს კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაც, ხოლო მასწავლებლები განთავისუფლდნენ ზედმეტი ქალალდომანისა შეა გადაწერებისაგან, რაც პირდაპირ მიმდევირთად დააწვა პედაგოგს და ენერგია წააჩოვა მეტი იფიქროს თვით გაკვეთილის მაღალხარისხოვნად მომზადებაზე.

ან თოლეთ სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობა, ისინი, როგორც წესი, ყოველდღე ორ-ორ გაკვეთილს უნდა ისმენდნენ, სულერთია, არის თუ არა საჭირო. მაგალითად, თუ სკოლაში 40 მასწავლებელია, გამოწის, რომ თითოეული მასწავლებელი ყოველ 10—15 დღეში დირექტორის ან სასწავლო ნაწილის გამგის შესრუ გაკვეთილზე შემოწმების ობიექტი ხდება, მაშინ როცა საცხებით საკმარისია კარგ მასწავლებელს წელიწადში თრ-სამჯერ მიაკითხოს დირექტორმა ან სასწავლო ნაწილის გამგემ, ხოლო შედარებით სუსტ, გამოუცდელ მასწავლებელს 20 დღეში ერთხელ კი არა, კვირაში ორ-სამჯერაც არ აენებდა შემოწმება და დახმარება. თუ დირექტორსა და სასწავლო ნაწილის გამგეს ვანდობთ სკოლას, მათ ისიც უნდა მივანდოთ, რომ თავიანთი შეხედულების მიხედვით ესწრებოდნენ გაკვეთილებს იქ, სადაც საჭიროა, იმ დროს, როცა უცილებელია. ეს ბოლოს მოულებდა აგრეთვე იმ ხერეულობას. რომელსაც სკოლების სშირი შემოწმება იწვევს. გვაძვს შემთხვევები. როდესაც წლის განმავლობაში ზოგიერთი სკოლა ხუთჯერ მოწმდება. განა არ ჯობია ვამოწმოთ შედარებით სუსტი სკოლები, გამოვიყენოთ ვალენტინა გაგანვებს გამოცდილებაც იმ მხრივ, რომ სკოლის კარგი დირექტორი გადავიდეს შედარებით ჩამორჩენილ სკოლაში სამუშაოდ, წამოწიოს ეს სკოლა, მაგრამ ფრთხილია ვიყოთ იმ მხრივაც, რომ კარგი დირექტორის წყალობით დაწინაურებულ სკოლაში დირექტორად არ დაენიშნოთ ისეთი ადამიანი, რომელიც ორ თვეში სკოლას დაწინაურებულიდან ჩამორჩენილთა ჩივში ჩაყენებდა.

ან თოლეთ სკოლების ინსპექტირება, ჩვენ არ უარყოფთ სკოლების ეგრეთშოდებულ ფრთხილურ შესწავლას, მაგრამ პირველყოფ-

ლისა საქიროა თემატიკური შემოწმების ფართოდ დანერგვას უწულესია, ინსპექტორების მოხსენებითი ბარათები აუცილებლად უსდგას. ჩრებოდეს განათლების განყოფილებაში სათანადო რეაგირებისათვის.

ანალოგიური საქითხები დალიან ბევრია და თანდათან უნდა გადავწყვიტოთ სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციის პვალდაპვალ.

ამხანაგებო! საქართველოს რესპუბლიკის, როგორც ხედავთ, გარევეული წარმატებები აქვს სახალხო განათლების ღარეში.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ მასწავლებელთა ყრილობა დაგვეხმარება აღმოფენებრიათ ყველა ნაკლი ჩვენს მუშაობაში, განათლების სამინისტროს, განათლების ადგილობრივი ორგანოების, სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების შემაობაში.

მოდით, დავრაზმოთ მთელი ძალები იმისათვის, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების საქმე ყოველმხრივ სანიმუშო იყოს, რომ დღეუზარდოთ ჩვენს სახელოვან საბჭოთა სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი, კომუნიზმის უსაზღვროდ ერთგული, სულითა და გულით პატრიოტი ადამიანები, რომელებსაც წმიდათა წმიდად მიაჩნიათ ლენინს პარტიის დიადი საქმე, ხალხის საქმე, სამშობლოს ინტერესები!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა სამშობლოს, დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს ლიტელ კომუნისტურ პარტიის, რომლის შემქმნელი და შთამაგონებელია კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, ჩვენი საყვარელი ბელადი და ჟველაზე დიდი მასწავლებელი ვლადიმერ ილიას ქე ლენინი!

თავმჯდომარე. გადავდივართ კამათზე ამხ. ჯიბლაძის მოხსენების გამო. სიტყვა ეძლევა ამხ. ეგაძეს — თბილისის მშრომელთა დეპერატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილების გამგეს. მოემზადოს ამხ. თებიძე — აქარის ასსრ განათლების მინისტრი.

თ. 6. ეგაძე. ამხანაგებო! საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა თავის მუშაობას შეუდგა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ახალი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ნიკიტა სერგის ქე ხრუშჩინის ახლან დამთავრებული მოგზაურობით.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების — მმართველობის სხვადასხვა სისტემის მქონე იმ ორი სახელმწიფოს —

მთავრობათა შეთაურების შეგობრული ვიზიტების ვაცვლა, შშვიდობის ეს დიადი მისია, რაც მიმართულია „ციფრი ომის“ ლიკვიდაციისთვის და საერთაშორისო დაბაბულობის შენელებისაკენ, მსოფლიოს ხალხებს ახალი იმპერიალისტური ომის თავიდან ცილების შესაძლებლობის ღრმა რწმენას უნდარებას.

ჩვენი ყრილობა თავის მუშაობას შეუდგა იმ ახალ ვითარებაში. როდესაც მთელი მსოფლიო ჩვენს ხალხთან ერთად იღტაცებული საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებით მთვარეზე მეორე კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშევების გამო. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. ეს არის კანონზომიერი განვითარება და გაგრძელება იმ დიდი შემოქმედებითი შრომისა, რომლის საწყისებსაც საშუალო სკოლაში ცყრება საფუძველი. ეს არის შედეგი იმ დიდი ზრუნვის და უურადლებისა, რასაც ჩვენი საყვარელი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩინენ სახალხო განათლების განვითარებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით იღზრდის მიმართ.

ამ ზრუნვამ კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება პოვა პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით და მის შესაბამისად — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ მიღებული კინონით.

ეს ჰეშმარიტად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ჩვენი სახალხო განათლების სტატემის რეორგანიზაციის საფუძველია, უგრეთვე ამ საქმეში გადადგმული პირველივე ნაბიჯები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რამდენად აუცილებელი ყოფილა სკოლის მუშაობის ახლებურად გარდაქმნა, ამ უაღრესად დიდი ლონისძიების ცხოვრებაში გატარება.

განათლების დღემდე არსებული სისტემა საბჭოთა კავშირში შემოღებულ იქნა 30-იან წლებში, როდესაც ჩვენი სახალხო მეურნეობა სოციალისტურ რეკონსტრუქციის განიცდიდა.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში იგრძნობოდა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა საკუთარი კადრების საკლებობა, და პარტიამ სწორედ ამიტომ სკოლას გადაუდებელ ამოცანად ღაუსახა მოემზადებია მეცნიერების საფუძველებს დაუფლებული ახალგაზრდა კადრები, სკოლის წინაშე დასახული ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა. საბჭოთა სკოლაში მას შემდეგ მილიონობით მოამზადა მაღალი კულტურისა და კოდნის აღამიანები, რომელთა მორალური თვისებები მკაფიოდ გამოვლინდა შრომისა თუ ბრძოლის ყველა ეტაპზე.

დღეს ჩვენ თამაშიდ შეგვიძლია ვიაშაყოთ იმით, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, სადაც უფრო მაღალ კაციდან 22-ს უმაღლესი განათლება აქვს, განათლების მხრივ ბევრად გაუსწორო ისეთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს. როგორიც არიან საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და სხვები, რომ აღარაფერი ვოქვათ თურქეთსა და ირანზე, რომლებიც შესაბამისად, 10-წერ და 50-წერ ხამოვარჩებიან ამ საქმეში.

უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადება შემდგომში კიდევ უფრო გაძილდება. მაგრამ ცხოვრებამ დღეს სკოლის წინაშე დააყენა ახალი მოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ უახლოეს 15 წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობის განვითარების პრა-პექტიული გეგმილან.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში აღებული სწრაფი ტექნიკური შეიძლებინი გეგმის პირველსავე წლებში მოითხოვს. რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას მივცეთ საშუალო განათლებით აღქურებული, კულტურული და თანაც პრაქტიკული საქმიანობის ჩეცვებს დაუფლებული კვალიფიციური მუშახელი. დღემდე კი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, რომელიც უმაღლესი სკოლის გარეთ რჩებოდა, სრულიად მოუმზადებელი იყო ამ საქმისათვის და სახელმწიფო კერძო იურიდიულ მათ სახოგადოებრივიად სასარგებლოთ შრომის ჩასაბმელად. ამის ძირითადი მიზნები სწორედ ის იყო, რომ დღემდე საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამები მოწყვეტილი იყო ცხოვრებას, პრაქტიკულ საქმიანობას.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩიოვმა პარტიის X XI ყრილობაზე აღნიშნა რომ აღნირდის საცეკვეთსო სკოლა, ყველაზე უფრო მეცაცხოვებელი არის ცხოვრება, ჩვენი საბჭოთა სინამდვილე; რომ კომინისტურ დებულებათა მხოლოდ წიგნებით შესწავლა, ცხოვრებისა-გან, პრაქტიკისაგან მოწყვეტით შესწავლა არაფრის მომცემი არ არის. ახალი კანონი სწორედ ამას გულისხმობს, როდესაც მოითხოვს საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამების ისე შეცვლას, პოლიტიკური და საწარმოო სწავლების ისეთ დონეზე დაყენებას, რომ შოსწავლეებში შრომითი ჩვევების გამომუშავება, ცხოვრებაში პრაქტიკული საქმიანობისათვის მათი მომზადება ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკეთებით აღნირდის ერთ-ერთი ძირითადი მოქმედი იყოს. ამ ამოცანის შესრულება კი ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო სასწავლო პროგრამების სწორად შედგენაზე, არა

მედ, აგრეთვე, პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლებისათვის საჭი-
რო მატერიალური ბაზის შექმნასა და მაღალკუალიფიციური პრედი-
კაცების შერჩევაზე.

ამ მხრივ თბილისის სკოლებში გარკვეული მუშაობაა ჩატარე-
ბული. ქალაქის 21 სკოლის IX კლასები 900-მდე მოსწავლით მიმაგ-
რებულია მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებზე, სადაც მათთვის შექმნილია
სწავლისა და მუშაობის სათანადო პირობები.

იმ საწარმოთა უმრავლესობაში, სადაც მრმაგრებულია ეს IX
კლასები, მოსწავლეებს გამოუყეს პრაქტიკული მუშაობის შესას-
ტულებლად საჭირო სამქროები, სათავსები თეორიული მეცანიერ-
ობისათვის, საკლასო ოთახები, უზრუნველყველ ისინი მანქანა-დანად-
გარებით, ხელსაწყო-იარაღებით, მასალებით, თეალსაჩინო ნივთებით,
შეარჩიოს პედაგოგ-ინსტრუქტორები და სხვ.

ჯერ კიდევ გასული წლების, აგრეთვე მიმდინარე წლის გამოც-
დილებამ ნათლად დაგვანახა, რომ პოლიტექნიკური და საწარმოო
სწავლების შემოღებამ გარკვეული დადგითით გარდატეხა მოხადინა
მოსწავლეთა შეგნებაში. ისინი უფრო სერიოზულად ეკიდებიან საგ-
ნების შესწავლას და საშინაო დავალების შესრულებას, დაინტერე-
სებას იჩენენ პრაქტიკული საქმიანობით, ხალისით ასრულებენ სამუ-
შაოს. საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა მიერ დისკიპლინის
დარღვევის შემთხვევები.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ყველგან, სადაც კი სკოლის
ხელმძღვანელობაში შეძლო სწორად მოეგვარებინა პოლიტექნიკური
და საწარმოო სწავლება, მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებასა და
ჯოვანულებას საგრძნობი გაუმჯობესება დაეტყო. მაგრამ ამ საქმეში,
ისე როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ყოველი სიახლის შე-
ინდების დროს, ჯერ კიდევ ბევრი ნაელი გვაძეს.

ეს, რა ოქმა უნდა, ისეთი ნაელოვანებები არაა, რომელთა გა-
მოსწორება არ შევვეძლოს, და ბუნებრივია, ყოველ ლონეს ვიხშართ
იმისათვის, რომ უახლოეს დროში აღმოვლენებრათ მუშაობის ხელ-
შემშელელი პირობები. მაგრამ მე მინდა ექ ერთხელ კიდევ შევვებო იმ
საკითხებს, რომელთა მოუგარებლობა საგრძნობლად გვიშლის ხელს
მუშაობაში და რომელთა გადაჭყვერა სკოლებსა და განათლების გან-
კოფილებებს უშუალოდ არ შეუძლიათ.

საქმე ის არის, რომ თბილისის და, მით უმეტეს, რესპუბლიკის
სკოლებს არა ჰყავთ პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო პე-
დაგოვიური კადრები, რის გამოც გვიხდება ამ საქმისათვის მოვიწ-
ვოთ ან შემთხვევითი, მეტისმეტად დაბალი კვალიფიციისა და
არამედაგოგიური განათლების პირები, ანდა სრულიად უხელშეღვა-

ცელოდ დავტოვოთ ამა თუ იმ სკოლის ცალკეული სახელოსნოები, იქ კი, სადაც ჰყავთ თუნდაც პრაქტიკოსი წელოსნები, ეს უკანასკნელი იძღვნად გადატვირთული არიან ორ და სამ სკოლაში მუშაობით, რომ მათ მიერ გადაცემული გაკვეთილები ნაკლებ შედეგს იძლევა.

ამ მდგრამარეობას ისიც ართულებს. რომ განათლების ორგანოების შტატით გათვალისწინებული არ არის ინიციერ-მეთოდისტის არ ერთი ერთული, რათა შევძლოთ მეთოდური დაბმარება მაინც გავუწიოთ პოლიტექნიკური სწავლების გამოუცდელ მასწავლებლებს.

კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო / დადგებითად გადაშევეტდნენ ჩეხებს თხოვნას საშუალო სკოლებისათვის პოლიტექნიკური სწავლების დარგში სათანადო პედაგოგიური კადრების მომზღვდებისა და განათლების ორგანოების საშტატო განრიგში ინიციერ-მეთოდისტის თუნდაც თითო ერთეულის დაშვების შესახებ.

* სრულიად აშეარაა, აგრეთვე, სასკოლო სახელოსნოს გამგის თანამდებობის შემოღების აუცილებლობა. ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტს, სადაც რამდენიმე ათეული კოლბა და ცოტაოდნი რეაქტივი ან რამდენიმე ქოთანში ჩარგული ესა თუ ის მცენარე იქვთ. თავისი გამგე ჰყავს, ხოლო სახელოსნოს, სადაც რამდენიმე ათას მანეთად ღირებული დანადგარები, ხელსაწყო-იარაღები და სხვადასხვა ნედლეულია, გამგე არა ჰყავს. სასურველია, რომ სახელოსნოს გამგის მოვალეობა დაეკისროს პრაქტიკუმის ერთ-ერთ წამყვან მასწავლებელს სათანადო ანაზღაურებით, ისე როგორც ეს ხდება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა კაბინეტების მიმართ.

ქალაქის სკოლების დიდ ნაწილს მიწის ნაკვეთი ან სულ არა აქვს, ანდა აქვს იმდენად მცირე ფართობი, რომ სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმების სწავლებას ფაქტიურად მნიშვნელობა ეკარგება. იქნებ, უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო, რომ სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმებისათვის პროგრამით გათვალისწინებული საათები გამოვაყენებინა სხვა დანიშნულებით. თუნდაც იგივე პოლიტექნიკური სწავლებისათვის მანქანათმულდნეობაში, ელექტროტექნიკაში და ა. შ., ან ისე, როგორც ამას საქიროდ ჩათვლიდა თვით განათლების სამინისტრო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ მოაგვარა პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის საკითხი. საქმე კი არ ითმენს. ეს სახელმძღვანელოები ძალიან სტირდებათ არა მარტო მოსწავლებს, არამედ მასწავლებლებსაც.

ასევე უშედეგოდ არის დატოვებული ჩვენი თხოვნა ვაჭრობის
სამინისტროსადმი იმის შესახებ, რომ თბილისში გაცვისსნან ქრისტიანული
სპეციალიზებული მაღაზია, რომელიც დაკამაყოფილებდა არა მარ-
ტო დედაქალაქის, არამედ მთელი რესპუბლიკის სკოლების მოთხოვ-
ნილებას ხელსაწყო-იარაღებით სახელოსნოების მომარაგების მხრივ.

ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს
პილიტების ური და საწარმოო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას,
მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე
დაყრენებას.

მინდა თქვენი ყურადღება, შევიჩერო სასკოლო ცხოვრების კა-
დევ თრ-სამ საკითხზე, რომელთა შორის სკოლის დაკომპლიქტებას
მასწავლებელთა სათანადო კადრებით მნიშვნელოვანი აღგილი-
უკირავს.

მასწავლებელი რომ სკოლის ცენტრალური ფიგურაა, ეს ყველამ
კარგად იცის; ისიც ყველასთვის გასაგებია. რომ უშეალოდ მას
აქვთ მინდობილი ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდა, ეს მე-
ტრად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე. ამიტომ არის, რომ დედა-
ქალაქის მასწავლებლები, ისე როგორც ეს შემცერის ნამდვილ საბ-
ჭოთა პედაგოგის, მთელი პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით,
ჩვეული მონაცემებითა და მაღალი პედაგოგიური კულტურით ვადე-
ბიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას და სასურველ შედეგსაც
დღწევენ. გერ მარტო გვაჩები რომ დავისახელოთ ჩვენი სახელოვანი
პედაგოგებისა, საქირო იქნება ერთი კი არა, ოთხი ან ხუთი გამომსვ-
ლელის რეგლამენტი. მასწავლებელთა ამ სახელოვან პლეადას ახლა
კიდევ მიერატა 112 პედაგოგი, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღ-
ლესი საბჭოს პრეზიდიუმის გუშინდელი ბრძანებულებით მიენიჭათ
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო
წოდება.

მაგრამ თბილისის სკოლებში მოიპოვებიან ისეთი მასწავლებე-
ბიც, რომლებიც ვერც თავისი პედაგოგიური კულტურით, ვერც თა-
ვისი საგნის კოდნით ვერ იმართლებენ საბჭოთა პედაგოგის მაღალ
სახელს. შეიძლებოდა დღეს ამის შესახებ არაფერი გვეთქვა, რადგან
ამჯერად საყითხი ეხება ერთ პიროვნებას, მაგრამ როდესაც ამასთან
ერთად აქ საქმე გვაქვს უმაღლესი სასწავლებლის მიერ უკოდინარი
პედაგოგის გამოშევასთან, სახელმწიფო დოკუმენტის — დიპლომის
გაცემასთან ისეთ პირზე, რომელიც სრულიად ვერ ფლობს სავანს,
უთქმელობა აღარ შეიძლება.

1958 წლის 1 სექტემბრიდან ბეთანიის სკოლა-ინტერნატში აღმ-
ზრდელად მეშობს აკაკი ილექსის ქე საჩშილაძე, რომელმაც 1955

წელს დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, მას სარშილაძე ჯერ კიდევ 1933 წლიდან მუშაობს პედაგოგად, ხოლო 1954 წლიდან, ე. ი. ინსტიტუტის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე, დაიწყო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილების გადაცემა.

უკმაყოფილომ იმით, რომ ბეთანიის სკოლა-ინტერნატში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები ევრ მისცეს, მან 29 აგვისტოს განცხადება დაწერა განათლების სამინისტროს სახელშე, სიიდანაც ეს განცხადება 2 სექტემბერს გადმოგზავნეს თბილისის განათლების განყოფილებაში.

განცხადება იმდენად უწიგნურადაა დაწერილი, რომ არათუ ქართული ენის სპეციალისტს, ასეთი უწიგნურობა საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლესაც კი არ ეპატიება.

ერთნახევარი გვერდის მოცულობის განცხადებაში ამ. ხარშილაძეს დაშვებული იქვე 30-მდე ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სინტაქსური, სტილისტიკური და სხვა სახის შეცდომა. ამ. ხარშილაძე ერთ სიტყვას — „სხვადასხვა“ ყველგან წერს ცალცალკე („სხვა და სხვა“), ხმარობს სიტყვებს „საწარმოვო“, „მომცრნ“, „აფიცერი“, „თავრობის“. მის განცხადებაში კითხულობთ ისეთ გაუმართავ წინადადების, როგორიცაა: „არ ვარ მოკლებული თავრობის დადგენილებას“ და სხვა მრავალი.

შეიძლება ვინე შემოგვედავოს და თქვეს, ერთი განცხადებით ნასწავლებლის ცოდნის შეფასება სწორი არ იქნებათ. ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს. მაგრამ ამ. ხარშილაძემ, მას შემდეგ როცა ვაიგო, რომ მისი განცხადება დასკვნისთვის გადაეცა თბილისის პედაგოგიურ კაბინეტს, არ ვიციო რა მოსახრებით, მეორე განცხადება დაწერა იმავე სამინისტროს სახელშე, იმავე 29. აგვისტოს თარიღით, იმავე საკითხზე, იმავე შინაარსის და იმავე მოცულობისა. ერთი სიტყვით, თავისი პირვანდელი განცხადება შეასწორა, შეალიაზა და ხელმეორედ გაგზავნა სამინისტროში, საიდანაც ჩეკი მივიღეთ 12 სექტემბერს.

ჩანს, რომ მეორე განცხადება მის აეტორს უფრო დაკვირვებითა და მონდომებით დაუწერია. მთელი თავისი ცოდნა გამოუყენებია, რათა განცხადების ტექსტი გამართული სალიტერატურო ენით და უშეცდომოდ ყოფილიყო წარმოდგენილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს განცხადებაც უწიგნურადაა დაწერილი და შეი სხვადასხვა სახის ათამდე შეცდომა დაშვებული.

გასაგებია, რომ ობილისის პედაგოგიურმა კაბინეტშია, საღაც ჩვენ გვყავს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდილი სპეციალისტ-მეთოდისტები, მოგვცა ერთადერთი სამართლიანი დასკვნა, რომ ამა. ხარშილაძე უწიგნურია და სკოლაში მისი გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად შეუწინარებელია. ამის შესახებ მეორე აზრი არ შეიძლება იყოს.

ძალაუნებურად ისმის კითხვა: სწორად მოიქმედ თუ არა ობილის პუშკინის სახელმისის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელმაც 1955 წელს დიპლომი მისცა ასეთ უწიგნურ „სპეციალისტს“? წეთუ 5 წლის განმავლობაში ინსტიტუტმა ვერ შეასწავლა მას ქართული ენა და, თუ ეს ვერ მოახერხა, რატომ მისცა დიპლომი? რით შეიძლება ავხსნათ ეს. თუ არა ასეთი სტუდენტის „თავიდან მოშორების“ მისწრაფებით? ხოლო, თუ ეს ასეა, დაგვევირდეთ ამ მავნე მისწრაფების სავალალო შედეგს და ვიანგარიშოთ. 1954 წლის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც ამა. ხარშილაძემ დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილების გადაცემა, რამდენი ხავშვის ცოდნას მიაყენა ზიანი და კიდევ რამდენ ბავშვს დააზიანალებს იგი, რადგან მას ხელთა აქეს დიპლომი და ჩვენ მისი გაუქმება არ შეგვიძლია.

ინსტიტუტის ამ წუნს ვერ შეეძრება ვერც ერთი ქარხნის წუნი. ჩვენ უფლება გვაქვს, რომ მას არ მივცეთ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები და, რასავეირველია, ასეც მოვიქცევთ. მაგრამ ვაკე 2—3 წელი, ეს ამზადი ყველას დაავიწყდება. ხოლო ობილისის პუშკინის სახელმისის პედაგოგიური ინსტიტუტის მიერ ამა. ხარშილაძის სახელშე უმართებულოდ გაცემული დიპლომი კვლავ პრეტენზიის განაცხადებს თავის უფლებებზე და, ალბათ, მიაღწევს კიდევაც თავისას.

შეიძლება და ჩვენ გვჩერა, რომ ეს მხოლოდ ცალკეული უსია-მოება ეპიზოდია ინსტიტუტის ცხოვრებაში, მაგრამ ამ ერთი შემთხვევისთვისაც კი მორალური პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ინსტიტუტს უნდა დაეკისროს.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! თურქმენეთის სსრ განათ-
ლების სამინისტრო სახალხო განათლების მუშავთა სახელით მიე-
სალმება ყრილობის მონაწილეებს და მათი სახით — საბჭოთა საქარ-
თველოს განათლების უკეთა მუშავს და უსურვებს შემოქმედებითა-
წარმატებებს ყრილობის მუშაობაში.

ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში უდიდესი
წარმატებები მოიპოვა თავისი შინაარსით სოციალისტური და ფორ-
მით ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. დიდია
თქეენი წარმატებები სახალხო განათლების საქმეში, მაგრამ კადეც
უფრო დიდი წარმატებებია მოსაპოვებელი „ცხოვრებასთან სკოლის

კაცშირის განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ მიღებული აპრილის ნონის განხორციელებასთან დაკავშირდებით.

საბჭოთა თურქეთის სახალხო განათლების მუშაյები მოძრა საქართველოს მასწავლებლობას თავს დიდ წარმატებებს უსურვებეს. სკოლის გარდაქმნაში, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საქონლის დღეობრივობის შრომაში.

გაუმარჯოს ლენინისმთხვე დროშას — სსრ კაცშირის ხალხთა დიადი მეგობრობის გრანიტოვან საფუძველს!

გაუმარჯოს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა კაცშირის კომუნისტურ პარტიას!

თურქეთის სსრ
განათლების სამინისტრო
1959 წ. სექტემბერი, ქ. აშხაბადი.

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

თავმჯდომარე. მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა ამბ. ორიზოლიერს, ყირგიზეთის მასწავლებელთა გაშეთის რედაქტორს.

დ. ორიზოლიევი. ამხანაგებო! ნება მომეცით გამოვაქვეყნო ყირგიზეთის სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაյთა პროფესიონალის რესპუბლიკური კომიტეტის მისალმების წერილი თქვენი ყრილობისადმი. (ყითხულობს).

საქართველოს სსრ მასწავლებელთა უნიკომპანია

ძვირფასო ამხანაგებო! ყირგიზეთის სსრ მასწავლებლობისა და სახალხო განათლების შემაქთა სახელით მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით — სახალხო განხოლების ყევლა მუშაქს.

საბჭოთა კაცშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმისაწვანელობით საქართველოს სსრ გადიიქცა აყვავებულ ჩესპებლიკად, რომელსაც ქვემინავე ტექნიკით აღჭურვილი, დიდად განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

საქართველოში შემდგომი განვითარება პოვა განათლებამ და კულტურამ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებების, კულტურულ-სიგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

საქართველოში უკალა პირობაა შექმნილი ბაქვეთა საყოფას
თუ სიცალდებულო სწავლების განხორციელებისათვის, სამუშავებელი
სკოლურ და უმაღლეს სასწავლებლებში მშრომელთა ფარიზოდ
იაბმისათვის, რაც საწინდარისა საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან
ერთად ქართველი ხალხის შემდგომი წინსელისა კომუნიზმის გზით.

საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა შეიქმნა
შესანიშნავ პერიოდში, როცა საბჭოთა სკოლა შევიდა თავისი განვი-
თარების ახალ ეტაპში, რომელიც გამსაზღვრა კინონმა ცხოვრება-
სთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო
განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ. სკოლის
შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი განათლების
შუმართა წინაშე ახალ გრანდიოზულ ამოცანებს უკენებენ და საბჭო-
თა სკოლის განვითარებაში დიდი ისტორიული მობრუნების დასაწ-
ყისს განსასლევრავენ.

საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა დარაზმავს რესპუბ-
ლიკის მთელ მასწავლებლობას ენერგიული, ნამდვილად შემოქმედე-
ბითი მონაწილეობისათვის სკოლის შესახებ მიღებული კანონის
შესრულებაში, სახალხო განათლების წინაშე სკაპ XXI ყრილობის
თემი დასახული ამოცანების პრაქტიკულად გადაწყვეტილი.

ეკვი არ არის, რომ მოძმე საქართველოს მასწავლებლობა ლიტ-
სეულად შეასრულებს თავის მოვალეობას საბჭოთა ხალხის წინაშე
და წარმატებით განახორციელებს კომუნისტური პარტიის მიერ და-
სახულ სკოლის გარდაქმნის პროგრამას, უზრუნველყოფს უკეთ-
მხრივ განათლებული ადამიანების მომზადებას, რომლებსაც კარგად
ეცნოდინებათ მეცნიერებათ საფუძვლები და ექნებათ საზოგადოებ-
რიგ-სასარგებლო შრომის უნარი.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ
შესანიშნავ გამარჯვებებს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღმზრდი-
საკენ მიმართულ კეთილშობილურ შრომაში!

გაუმარჯოს მოძმე საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მასწავლებლობას — რეს-
პუბლიკის ინტელიგენციის მრავალრიცხოვან და ძეტიურ რაზმის!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის, რომელ-
საც ჩვენი ხალხები კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიჰყავს!

ყირგიზეთის სსრ განათლების
სამინისტრო

განათლების, უმაღლესი სკოლისა და
სამეცნიერო დაწვესებულებების მეშვეო-
პროფესიონირის რესპუბლიკური კომი-
ტიტო.

(მქუჩარე, ხანგრძლივი ტაში).

თავშედომარე. სიტყვა ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტერის პრორექტორს ამხ. მირიანაშვილს.



მ. მირიანაშვილი. აქცეუნებს მისალმების ტექსტს.

თავშედომარე. შემოსულია წინადადება, რომ ჩვენი ყრილობის სახელით მისალმება გავიგზინოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. (ტ ა შ ი). ნება მომეცით თქვენი ერთსულოვანი ტაში ჩავთვალო ამ წინადადების ერთხმად მიღების ნიშნად. (ტ ა შ ი).

მისალმების ტექსტის გამოსაქვეყნებლად სიტყვა ეძლევა თბილისის მე-29 საშუალო სკოლის მასწავლებელს ამხანაგ აბაშიაძეს.

აბაშიაძე. (კითხულობს მისალმების ტექსტს).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის

საქართველოს მასწავლებელთა ურილობა, 54 ათასი პედაგოგის სახელით, მხურვალედ მიესალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ქართველი ხალხის გამარჯვებათ, ღირსეულ ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს.

საქართველოს სსრ მასწავლებელთა ურილობა შეიტანია იმ დროს, როცა დიადი საბჭოთა ქვეყანა გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის უოველ უბანზე. შეიძლო წლიანი გეგმის პირველი წლის ამოცანების ვადამდე და გადაჭიაბე. ბით შესრულებისათვის ბრძოლაში, სამამულო ტექნიკისა და მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების არახული წარმატებების, მურომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხელელი აღმავლობის დღეებში.

ჩენს გულს ახარებს საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევები საერთაშორისო ურთიერთობის დაზღვი, რამაც ასე მეაფიო გამოხატულება პოვა ჩვენი ძვირფასი ნ. ს. ხრუშჩინის ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბჭოთა კავშირის ბრძოლა მთელ მსოფლიოში შშვიდობისათვის ისეთ გამარჯვებებს აღწევს, რომებსაც ერთსულოვნად მიესალმება ყველა კეთილი ნების ადამიანი, ვისოფაც ძვირფასია ხალხთა ბედნიერება და კეთილდღეობა.

ურილობაზე წარმოგზავნილმა პედაგოგიური შრომის მოწინავე აღმიანებშია, გულდასმით განიხილეს რა ცხოვრებასთან სკოლას კავ-

შირის განმტკიცების მთელი სასწავლო-აღმზრდელობითა პროცესის ხელმძღვანელი გარდაქმნის საკითხები, ერთმანეთს გაუზიარეს ფაქტობრივი პირები გამოცდილება. მთ უღრმესი კმაყოფილება და აღფრთვების გამოხატვა იმ უდიდესი მზრუნველობის გამო, რასაც უკეთესობის განვითარება და მას დამტკიცებული საქართველოს კამუნისტური პარტიის კუნტრალური კომიტეტი და საქართველოს მთავრობა.

ამ შშობლიური ზრუნვის შედეგია ჩევს რესპუბლიკაში სახალხო განათლების დაწესებულებების წინსელი და აყვავება, მისი მძლავრი განვითარება, რითაც იგი ბევრად უინ უსწრებს ყველაზე უფრო წინწასულ მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანას. კომიტეტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის პირდაპირი გამოხატულებაა ის, რომ ჩევნი რესპუბლიკა ამეამად დაფარულია სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ფართო ქსელით — ის 4210 სკოლაში 612 თასზე მეტი ბავშვი სწავლობს, 27 სკოლა-ინტერნატში 5.160 ილაზრდელი ღებულობს აღზრდა-განათლებას, ათასობით ბავშვი იზრდება საბავშვო ბავშვება, ბალება და სახლებში.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დაწმარებითა და ხელმძღვანელობით მიმდინარე სასწავლო წლიდან რესპუბლიკის სკოლებმა დაიწყეს განხორციელება კანონისა „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“. I—V კლასები მეცადინეობას შეუდგნენ ახალი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. 167 მეცხრე კლასი გადაუფანილია საწარმოო სწავლებაზე, რის შედეგადაც ამ კლასების მოწაფეები, ზოგად და პოლიტექნიკურ განათლებასთან ერთად, შიიღებენ პროფესიულ მომზადებას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოდ.

მოსწავლეთა შრომითი აღზრდა აკადემიური მოსწრების საფუძვლზე ჩევნი მთავარი ამოცანაა. და ეს იყო მიზანი. როცა გასულ სასწავლო წელს სოფლის სკოლებთან შექმნილ 1.343 საწარმოო შრიგადასა და 3.908 რგოლში ჩაბმული იყო 83.014 მოსწავლე, რომელმაც 1958 წლის 1 სექტემბრიდან 1959 წლის 20 აგვისტოდე გამოიმუშავეს 1.200.000-ზე მეტი შრომადღლ. მოსწავლეთა აქტიური შრომითი საქმიანობა ხელს უშენობს იყალებით წარმატების მიღწევას, შრომისადმი პატივისცემის გამომუშავებას, აყალიბებს კომუნიზმის შენებელი მოქალაქის სულიერ და ფიზიკურ ძალებს.

იმისათვის, რომ თანამედროვე მოთხოვნათ დონეზე დავაუკისო პარტიის თაობის სწავლა-აღზრდის საქმე, განვითარების ახალ, მაღალ საფუძულზე ავიყვანოთ მთელი სასკოლო მუშაობა, საკირთვა

საყოველთაო სავალდებულო სწავლების ქანონის ზუსტად განხორციელება, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სკოლებით მოსახლეობის მის მომსახურება, განმტკიცდეს მათი მატერიალური ბაზა, რომ იგი საესპიონ შეესაბამებოდეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებით მოსწავლეთა შეიარაღების საფლეისო ამოცანებს. მასწავლებელთა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის სრულყოფა და მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ამაღლებისათვის დაუცხრომელი ზრუნვა, — ეს ისეთი ამოცანაა, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლას პირველხარისხოვანი სახელმწიფო ბრძოლაში მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს სსრ მასწავლებელთა ყრილობა, რესპუბლიკის მთელი ჰედაგოგიური საზოგადოებრიობის სახელით, პირობას აღლეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მომავალშიც მთელი ძალით და მონილომებით იბრძოლებს, რათა საყვარელ დედა-სამშობლოს აღმართოს მტკიცე ცოდნით შეიარაღებული, ყოველმხრივ განათლებული, მხნე და ჯანსაღი თაობა, რომელიც ბოლომდე მიიყვანს კომუნიზმის შენებლობის დიად საქმეა ჩვენს ქვეყანაში.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტი!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს! (მქუხარე ტაში).

თავმჯდომარე, ნება მომეცით თქვენი ერთსულოვანი ტაში ჩავთვალო ამ მისალმების ტექსტის ერთხმად მიღების ნიშნად. (ტაში).

ყრილობის სახელზე მიღებულია მრავალი მისალმების დეპეშა და წერილი. მათ გასაცნობად სიტყვა ეძლევა ამს. გვერდწითელს.

ი. გვერდწითელი. ამხანაგებო! საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის, საქართველოს განათლების სამინისტროსა და განათლების მინისტრის სახელზე მიღებულია დეპეშები. რომლებითაც ჩვენს ყრილობას, აესპეციურის მასწავლებელთა მრავალათასიან რაზმს და განათლების ორგანოებს მსურველედ შეისალმებიან და ახალ წარმატებებს უსურვებენ შემდეგი ორგანიზაციები და პირები:

რსუსრ პედაგოგიუს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდული კაიროები;

ყაზახეთის სსრ განათლების მინისტრი შარიფოვი;
 თურქენეთის სსრ განათლების მინისტრი კურბანოვი;
 ლატვიის სსრ განათლების მინისტრი სამსონი;
 მოლდოვეთის სსრ განათლების მინისტრი კრაჩინი;
 საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი და აფხაზეთის
 ასსრ მინისტრთა საბჭო;
 საქართველოს კპ აქარის საოლქო კომიტეტი და აქარის ასსრ
 მინისტრთა საბჭო;

საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი და
 გვრომელთა დეპუტატების საბჭოს საოლქო აღმასკომი;

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომი და მშრომელთა დეპუტა-
 ტების რაიონული საბჭოს აღმასკომი;

საქართველოს კპ თელავის რაიკომი და მშრომელთა დეპუტა-
 ტების რაიონული საბჭოს აღმასკომი;

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომი და მშრომელთა დეპუტა-
 ტების რაიონული საბჭოს აღმასკომი;

საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტი და მშრომელ-
 თა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს კურნალ „ლიტე-
 რატურნაია გრუზიას“ რედაქცია;

ახალციხის რაიონის განათლების განყოფილება;
 ბოლნისის რაიონის პედაგოგიური კოლეჯივი;

გორის საქალაქო საბჭოს განათლების განყოფილება;
 გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილება;

ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილება;
 ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილება;

ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილება და განათლე-
 ბის, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშავთა
 პროფესიონალის რაიონული კომიტეტი;

თბილისის სკოლების მასწავლებლები;

თბილისის სკოლამდელი აღზრდის მუშავები;

ქუთაისის სკოლების მასწავლებლები;

ქიათურის საქალაქო განათლების განყოფილება;

ხაშურის რაიონის განათლების განყოფილება;

თბილისის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლეჯივი;

თბილისის მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლეჯივი;

თბილისის მე-5 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლეჯივი;

თბილისის მე-7 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის მე-10 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის მე-11 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის მე-12 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის მე-13 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის მე-14 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის მე-18 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის მე-19 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტური;
თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის მს.
წავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტურები;

თბილისის 86-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 87-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 89-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 90-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 92-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 94-ე სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 95-ე სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 95-ე სკოლის პარტბიურო და ოდგილეობი;
თბილისის 96-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;
თბილისის 99-ე შეკრიტიკიანი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი;

თბილისის 103-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტურა; თბილისის 106-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტურა; ბარისახოს სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები, ომზრდელ მასწავლებლები და ოსაზრდელები;

განთიადის საბავშვო სახლის პედაგოგიური კოლექტურა;

გორის რაიონის სოფ. გარიანის ი. გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და პიონერ-მოსწავლეები;

ქ. მახარაძის ფ. მახარაძის სახელობის საბავშვო სახლის ომზრდელთა და ოსაზრდელთა კოლექტივი;

თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ევა გურგენიძე;

თბილისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ქსენია სალაქვაძე;

თბილისის 32-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი მელიქიანი;

თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ვასულოვსკაია;

თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინი ბეჭურიშვილი;

თბილისის 38-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი არუთინვაი;

თბილისის 38-ე საშუალო სკოლის პენსიონერი მასწავლებელი ლაშვაური;

თბილისის 95-ე სკოლის მასწავლებლები გაბრიელიანი, ბალაგაზიანი, ჩიდემიანი, დანიელიანი, საჩქისოვა;

თბილისის პენსიონერი მასწავლებლები თამარ გეგეშვილი, ელენე ასათიანი, მირიან კარაბეკოვი, გიორგი ბერიძე;

სოჭში დამსკენებელ მასწავლებელთა ჯგუფი: საქართველოს სასაკვთველოს სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის, მოადგილ ფერაძე, ინსპექტორი ბებურიშვილი, კადრების განყოფილების უფროსის მოადგილ თვალიაშვილი, წალეის რაიონის განსატლების განყოფილების გამგე ტარპეზანვი, ახალქალაქის რაიონის განსატლების გამგე ვართანიანი;

თავმჯდომარე. სიტყვა ეძლევა თბილისის 52-ე სკოლის დირექტორს ამხ. ჩერკასოვას.

გ. ა. ჩერკასოვა. მმხანაგო დელეგატებო! საბჭოთა სკოლა თავისი განვითარების საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება — უკვე შევუდექით სასკოლო განათლების რეორგანიზაციის ამოცანათა პრაქტიკულად განხორციელებას.

13. მასწავლებელთა ურილობა.

ცალკებასთან, წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის
პრაქტიკასთან სკოლის მეიდრო კავშირი უნდა გაძლიერდოს სკოლის მშენებ
ნიერებათა საფუძვლების სწავლების, კომუნისტური ზნეობის ცე-
ლისკვეთებით მოზარდით თაობის აღზრდის მყარი საფუძველი.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობა.
ბის თეზისები ცალკებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და
ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითა-
რების „შესახებ“, რომლებმაც საყოველთაო მხარდაჭერა პოესია
სახალხო განხილვის დროს და რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი,
საბჭომ მოიწონა, საფუძვლად დაედო საბჭოთა სკოლის მუშაობას
ჩვენშიც, საქართველოში.

თბილისის 52-ე საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტურმა:
ამის საფუძველზე დასახა ღონისძიებანი სასწავლო-სააღმზრდელო
მუშაობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება
მოვაქციროთ მოსწავლეებში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამა-
ყალიბების საქითხს.

ყოველგვარი საქლასო თუ კლასგარეშე მუშაობა — გაეცემოლა
იქნება იგი თუ პიონერთა შექრება ან სხვა საზოგადოებრივი ღონის-
ძიება — ტარდება მეცნიერული ცოდნის დაუფლების, შემომის
ჩვევებთან სწავლების შეერთების, ცალკების მიერ წამოყენებულ
მოთხოვნების მიზნით.

რა გააკეთა ჩვენმა სკოლამ ამ მიმართულებით?

თბილისის 77-ე და 82-ე სკოლების მაგალითისამებრ ჩვენი სკო-
ლა თვითმომსახურებაზე გადავიდა, თუმცა ჯერჯერობით ნაწილობ-
რივ (მოსწავლეები მხოლოდ საქლასო ოთახებს ასუფთავებენ). და
ასელა, როცა პირველი სასწავლო თვის შეღებებს ვაჯამებთ. მშენ-
ხდება, რომ ამ სერიოზული ღონისძიების აღმზრდელობითი დანიშ-
ნულება სავსებით ამართლებს თავის თავს, ხოლო ის სიძნელეები.
რომლებმაც პირველ ხანებში იჩინა თავი, უკვე ხელს აღარ გემშლის.
მოსწავლეებში იზრდება პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისაღმი.

მოსწავლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ-სახარევებლო შრო-
მაში არ იფარგლება თვითმომსახურების ჩარჩოებით; წელს 2 თვის
განმავლობაში ჩვენი სკოლის კომიკოშირელები მუშაობდნენ სპორ-
ტის სასახლის მშენებლობაზე.

მინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი მოსწავლე, რომლებმაც ჩვენი სკო-
ლა დაამთავრეს, სამუშაოთ წარმოებაში, ხოლო სხვები დარ-
ჩნდენ მშენებლობაზე. წელსაც, ისე როგორც წინა წლებშიც მოსწავ-
ლეები იქტიურად მონაწილეობენ ჯარის შეგროვებაში.

შრომითი სწავლების საქმეში ვხელმძღვანელობთ ახალი პროგრამებით. შრომაში მეტადინება ცალ-ცალკე ტარდება: ვაჟები შეუძლებენ სახელოსნოში, ამზადებენ თაროებს, უვავილების საღამებს, ჩარჩოებს, სტენდებს; გოგონები სწავლობენ კერვას, ხელსაქმეს, მხატვრულ ქარგვასა და აძლიერის.

მშობელთა კომიტეტის დახმარებით შევიძინეთ საქერავი მანქანები, რომლებზეც გოგონებმა ისწავლეს კაბების, ხალითების, წინსაფრების, საშინაო კოსტუმების კერვა. სამჯერ მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. განსაკუთრებული შარმატება ხვდა გასული სასწავლო წლის ბოლოს მოწყობილ გამოფენას. გარდა ამისა, მოეწყო ბალი, რომელზეც ყველა მოსწავლე გოგონას საკუთარი ხელით შეკერილი კაბა ეცვა.

უფროისი კლასების მოსწავლე გოგონების თხოვნით მიმღინარე სასწავლო წელს ჩამოყალიბებულია ჭრა-კერვის წრე, რომელსაც მშობელთა კომიტეტის წევრი ამ. ოშჩენკო ხელმძღვანელობს.

ჭრ კიდევ გასულ სასწავლო წელს IV—VI კლასებში ჩატარდა მეოვანეობის ვაკევთილები, შემდეგ კი მოვაწყეთ შეკრება, სადაც მოსწავლეებმა თვითონ დაამზადეს საღილი, საუზმე, თვითონვე გაზალეს სუფრა.

სკოლის მიღამოების გამწვანებაც მოსწავლეთა ძალებით მოვახდინეთ. მცირე შრომა როდი დაიხარჯა სკოლის წინ ყვავილწარის გასაშენებლად და სკოლის ეზოში ხეების დასარგავიდ.

სკოლას პევს საწარმოო ბრიგადა, რომელიც არემონტებს სასწავლო ინვენტარს. ამ ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო სპორტდარბაზთან საშხაპის აგებაში, აგრეთვე ტანკარჯიშის დარბაზის მოწყობაში.

სკოლაში მუშაობს რამდენიმე წრე, რომლებშიც მოსწავლეები ცოდნას იღრმავებენ და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას ეწევიან. მაგალითად, ფიზიკის წრემ დაამზადა აეროდინამიკური შილი, პილოტებულექტროსადგურის მოქმედი მოდული და სხვ. მოწაფეები თვითონ აწარმოებენ ფიზიკის ხელსაწყოების შეკეთებას და ამზადებენ ახალ ხელსაწყოებს, რის გამოც სკოლამ მიიღო ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის სიგელი; ერთ-ერთი ასეთი ხელსაწყო გაიგზავნა მოსკოვში ფიზიკის ხელსაწყოთა გამოფენაზე. გარდა ამისა, ამავე წრის წევრებმა დაამზადეს სტენდები: „გზა კომუნისტმისაკენ“, „ჩვენი სამშობლოს ტექნიკა“.

სააღმზრდელო მუშაობა სკოლაში მჭიდროდ უკავშირდება კომუნიკაციული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. ეს ასახულია კლასის ხელმძღვანელთა სააღმზრდელო მუშაობის გეგმაში. პედაგოგები და პიონერები მოსწავლეები მოსწავლეებს ეხმარებიან

წვევითა კომპლექსისა და ცოდნის დაუფლებაში პიონერული საფუძველი და განვითარების მიხედვით.

პარტიის XXI ყრილობამ მასწავლებლობის წინაშე დასახა კომუნისტური სასოგადოების ყოველმხრივ განათლებული და განვითარებული მშენებლების აღზრდის ამოცანა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. გარდა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისა, ბავშვები მეცადინეობენ სხვადასხვა სექტიობში. მშობლები დიდ დახმარებას გვიშევენ სპორტსმენთა მომზადებაში. მშობელი — მწვრთნელი ამა. ტარტაროვი მესამე წელია ხელმძღვანელობს მძღოლობრივი ჯგუფის.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და მშობლების შეთანხმებული მუშაობის შედეგად სკოლას კარგი მაჩვენებლები აქვთ: მძღოლობრივი მას არინა პირველი, ხოლო ქალაქში მე-3 აღგილი უკავია.

სკოლაში მოწყობილია ფოტოსტენდი, რომელზეც მოაფასებულია სკოლის საუკეთესო სპორტსმენთა ფოტოსურათები. მათ შორის არიან რესპუბლიკის არაერთგზისი ჩემპიონები პშენიჩნია, ვალიშინა, სობაკინი და სხვ. სტენდი გაფორმებულია სკოლის ფოტოწმის მიერ, რომელიც ახლა მუშაობს ახალ სტენდზე „ჩვენი სკოლის ცხოვრება“.

სკოლა მუშაობს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვეს. ჩამოყალიბებულია გუნდი, დრამატული, ცეკვის, მხატვრული ტანკარგიშის წრეები, რუს პროგრესულ მხატვართა შემოქმედების შემსწევლელი წრე. ბავშვები სისტემატურად დადიან მოზარდ მაყურებელთა თეატრში, აწყობენ ნახული დაღგმების განხილვას, ექსკურსიებს მუზეუმებში, გამოფენას.

ინტერნაციონალური აღზრდის მიზნით კლასების მიხედვით ტარდება საუბრები, მიმოწერი გვაქვს ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და ჩინეთის სკოლებთან.

ყველა ეს ღონისძიება ხელს უწყობს მოსწავლეებში ახალი ადამიანისათვის აუცილებელი თვისებების ჩამოყალიბებას, მათ ინტერნაციონალურ აღზრდას.

მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რიგი ნაკლოვანებაზი კვლავ იგრძნობა. ესაა მეორეწლიანობა, არასაკმათ მოსწრება ზოგ კლასში და ცალკეულ საგნებში, მატერიალური ბაზის შედარებითი სისუსტე, პოლიტიკური სწავლების უფრო ფართოდ განხორციელებისათვის საჭირო სადგომების ნაკლებობა და სხვ.

ჩევენი სასკოლო შენობა გათვალისწინებულია 440 მოსწავლით და 100 მოსწავლით სათვის. ახლა ჩევენ უკვე 27 ქლასი გვყვავს. გასაგებია, რომ შემდეგი საკირო კაბინეტის მოწყობა არ ხერხდება.

— სკოლა ისეთ რაონშია, სადაც საცხოვრებელი სასლების ღიღი შექნებლობა მიღის და, მაშისადამე, მოსწავლეთა რაოდენობაც კაცურულობა მატულობს. ამასთან დაკავშირებით მოედი სიმწვავით ისმის სკოლის შენობის გაფართოების, რაონში ახალი სკოლის აგების საკითხი.

ამხანაგო დელეგატებო! ჩევენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თავის უნარსა და ძალებს არ დაზოგავს იმისათვის, რომ განხორციელდეს ისტორიული გადაწყვეტილებანი სკოლის შესახებ. ჩევენ ვეცლებით გავამართლოთ საბჭოთა მასწავლებლის მაღალი წოდება და არაფერს დავიშურებთ მოზარდი თაობის — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა თაობის აღზრდისათვის. (ტ ა შ ი).

თავმჯდომარე. სიტყვა ეძლევა სკკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამ. ვასილ პავლეს ძე მეავანაძეს. (ტ ა შ ი).

ვ. პ. მუავანაძე. ყველა, ვინც ამ ტრიბუნიდან გამოვიდა, თქვენ, ყრილობის დელეგატებს, მოგმართავდათ სიტყვებით: „ძეირთავო იმხანაგებო!“ და ეს შემთხვევებითი როდია. ასე მიმართავენ დამსახურებულთ, ადამიანებს, რომლებიც სარგებლობენ მოელი ხალხის პატივისცემით. არ არის იმაზე უფრო კეთილშობილური, უფრო მაღალი და პუმანური პროფესია, ვიდრე პედაგოგის პროფესია, უფრო სპარიო და მამაცური შრომა, ვიდრე სახალხო მასწავლებლის შრომა, რომელსაც მინდობილი აქვს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე პასუხსავები საქმე — მოზარდი თაობის აღზრდა. ჩევენს ქვეყანაში პედაგოგები გარემონისილი არიან განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით. მათს ხელში ყალიბდება ახალი ადამიანი — კომუნისტური საზოგადოების მშენებელი.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა მუდამ განსაკუთრებულ მინშენელობას ანიჭებდნენ და ინიჭებენ საბჭოთა მასწავლებლის როლს. სკოლის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ შობრუნებებზე პარტია ეთათბირებოდა მასწავლებლებს, იღებდა ყველა ლონისძიებას, რათა განემარტა მათვის ჩევენი სახელმწიფო პოლიტიკა სახალხო განათლების დარგში, დაერაზმა განათლების ზველა მუშავი ამ პოლიტიკის პრაქტიკული განწორციელებისათვის.

მასწავლებელთა კადრების საბჭოთა პარტიული¹ ზრდის
ახალი მექანიზმი გამოვლინება, დადასტურება, იმ უდიდესი მწიმეთ-
ლობისა, ჩაც ჩვენს ქვეყანაში ენიჭება საბჭოთა პედაგოგების როლს,
არის მასწავლებელთა რესპუბლიკური ყრილობები. მასწავლებელთა
დიდი ოჯახის წარმამადგენლების მაღალი კულტურული იმის ერთ-
ერთი მექანიზმი დადასტურებაა, თუ რაოდენ იმაღლებულია ჩვენში
მასწავლებლის წოდება, რაოდენ დიდია ნდობა, რომელსაც მას ეწე-
ვენ ჩვენს ქვეყანაში.

— საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა, — განაგრძოს
ივი, — დიდი მოვლენაა ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებრიობის,
ასესპუბლიკის სახალხო განათლების ფრონტის ყველა მუშავის ცხო-
ვრებაში. ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს განსაკუთრებულ პე-
რიოდში, როცა უკვე დაიწყო სასკოლო განათლების რეორგანიზა-
ციის პრაქტიკული განხორციელება. ყრილობის მონაწილეებში
ცხადყველ იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების ღრმა გაგება, რომლე-
ბიც დასახულია საბჭოთა სკოლის წინაშე, სურვილი — წარმატებით
განახორციელონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები განათლების
დარგში. ყრილობამ განახოვადა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის
ცენტრულების დარგში შესრულებული მუშაობა, პირველი გამოცდი-
ლება, რომელიც შეძენილია მოსწავლე იხადებაზრდობის პოლიტიკ-
იკურ სწავლებაში. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი და ძვირფასია
სკოლებში მოელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის
შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

— შესანიშნავ დროს კუთხვრობთ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, —
ამბობს შემდეგ ვ. პ. მეგავანაძე. — ყოველ დღეს ახალი სასა-
სარულო ამბავი მოაქვს ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნისათვის.
შეუდამ ახალ, თვალსაჩინო გამარჯვებას აღწევს საბჭოთა ხალხი თავის
სწრაფ წინსკლაში კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. ჩვენში
პარტიამ დასახა ამოცანა — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების მაღალი დონის საფუძველზე უზრუნველყოს ხალხის
კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობა. ეს ამოცანა წარ-
მატებით ხორციელდება. ჩვენი ხალხი ახლა უკეთ ცხოვრობს, ერთ-
ოდესმე, გაივლის ცოტა დრო, და ცხოვრება გახდება კიდევ უფრო
უკეთესი, მდიდარი და ლამაზი.

კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტე-
ტი, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანავი ნ. ს. ხრუშჩოვი დაუცხ-
რიომელ ბრძოლას ეწევიან მთელი მსოფლიოს მტკიცე შვეიცარიის
უზრუნველყოფისათვის. საბჭოთა ხალხი, მთელი დედამიწის ყველა
პატიოსანი ადამიანი ერთსულოვნად, მხურვალედ იწონებენ საბჭოთა

შთაგრძნების მეთაურის ისტორიულ ვიზიტს შეერთებულ შტატებში პროგრესულმა კაცობრიობამ ნიკიტა სერგიის ფილმით და სკოლები მდგრადი მიღების მიზანით შეერთებულ შტატებში მიიღო როგორც მშვიდობის პედიატების საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალი მკაფიო გამოვლინება.

საბჭოთა აღმიანების ხელით გაქტოებული ყოველი კეთილი საქმე, — იქნება ეს საბჭოთა კოსმოსური რაკეტის ზღაპრული გაფრენა მთვარეზე თუ ატომური ყინულმჴრელის შექმნა, ახალი საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და ბაგების მშენებლობა თუ ახალი სრულყოფილი მანქანის დანერგვა, — ყოველი ჩვენი წინსვლა ნაკარნახევი და შთაგონებულია ერთი დიდი მიზნით: შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მშეიდობა დედამიწაზე, აღმიანის ცხოვრება უფრო სასიხარულო და ბედნიერი გავხადოთ. კარგად თქვა ნიკიტა სერგიის ეს ხრუშჩივმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს: „ჩვენი საშინაო პოლიტიკის მიზანი ერთადერთია და იგი ის არის, რომ შევქმნათ კაცობრიობის საუკეთესო იდეალების ღირსი ცხოვრება. ჩვენი შეიძლებიანი გეგმა გამსცვალულია მშეიდობისმოყვარებობის სულისკვეთებით, ხალხის კეთილდღეობისა და ბეღნიერებისათვის ზრუნვით“.

კომუნიზმისათვის დიადი ბრძოლის შემაღებელი ნაშილია აგრეთვე სკოლის გარდაქმნის პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ორგანიზაციის, სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და სხვა მოქავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების კანონების საფუძველზე. ამ დოკუმენტებში განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები, მისი სტრუქტურა, მარქსისტულ-ლენინური პრინციპის განხორციელების — ნაყოფიერ შრომისთან ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის შეერთების გზები.

„კომუნიზმზე გადასაცვლელად საკიროა არა მარტო განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ აგრეთვე საზოგადოების ყველა მოქალაქეის შეგნებულობის მაღალი დონე, — თქვა ნ. ს. ხრუშჩივმა სკვკ XXI ყრილობაზე. — რაც უფრო მაღალია მილიონიანი მასების შეგნებულობა, მით უფრო წარმატებით შესრულდება კომუნისტური მშენებლობის გეგმები, ამ მიზანით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა მშრომელთა, მეტადრე მოზარდი, თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს“.

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია უკვე ახლა აღზარდოს მომავლის ადამიანი, ახალგაზრდობა მოამზადოს კომუნისტურ საზოგადოებაში ცხოვრებისა და შრომისათვის. ჩვენი შეიძლები, რომლებიც

დოფის სკოლის მეტებზე სხედან, არა მარტო აშენებენ კომუნისტური არამედ ავტოთვე იცხოვრებენ, იშრომებენ კომუნისტურ საჭრებულოს პაში. ამ მაღალი მისისიათვის მათს მოსამზადებლად საჭიროა გარდაიქმნას სასკოლო განათლებისა და ოზრდის მოელი სისტემა

საბჭოთა სკოლის ცენტრალური, წამყვანი მოცანა მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე არის ახალი ადამიანის აღზრდა, რომელსაც ექნება მაღალი მორალური თვისებები, კომუნისტური სახო, გადოების წევრის ჩვევები. საბჭოთა სკოლას ახლა ეკისრება უფრო ძეტიური როლი საზოგადოების ცხოვრებაში, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომაში. პირველ ადგილზე დასახულია მოსწავლეთა მომზადება ცხოვრებისათვის, ნაყოფიერი შრომისათვის. მაგრამ სკოლა აღარ იქნება სკოლა და იგი ვერ შეასრულებს მოავარ და გადამწყვეტ ამოცანას, თუ არ მოამზადებს კარგად განათლებულ და უკველმხრივ განვითარებულ ადამიანებს. ამიტომ მისი საგანმანათლებლო ფუნქციები არათუ რჩება, არამედ კიდევაც ფართოვდება საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალი პირობებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.

მიმდინარე სასწავლო წელი, თქვა ვ. პ. მეჟავანიძემ, დაწყო სკოლის გარდაქმნის კანონის განხორციელების ნიშნით. ამ კანონს, რომელიც მიღებულია პატიოს ინიციატივით, სკოლაში შეაქვთ ბავშვების მრავალფეროვანი შემოქმედებითი შრომა, როგორც მთელი მთა ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, შეერთებული სწავლება და შრომა გახდება კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანის ფორმირების მძლავრი საშუალება.

რესპუბლიკის სკოლებმა შეიძინეს წარმოებასთან სწავლების შეერთების პირველი დადგებითი გამოცდილება. საწარმოო სწავლების განხორციელების ამიცანა ერ გადაიტრება. თუ არ იქნა სამრეწველო საწარმოების, კოლეგიურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების შესაბამისი დახმარება და მონაწილეობა. ბევრი საწარმო, მაგალითად თბილისის სამეცნიერო ფაბრიკა № 1, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა და სხვები ჯროვანი ყურადღებით მოკეთდნენ ამ საქმეს. მაგრამ მთელ რიგ საწარმოებში ერ კიდევ ვერ შეუგნიათ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მთელი სახელმწიფო მოვალეობის მნიშვნელობა, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყოველი ღონე იხმარონ. რათა მოსწავლეებს შეუქმნან საჭირო პირობები სხვადასხვა სპეციალობის წარმატებით დაუფლებისათვის.

ბავშვთა სწავლების შეერთება შრომითს აღზრდასთან დაიდულმოდგინე მუშაობას მოითხოვს. „რა თქმა უნდა, სკოლის გარდა-

ქართველი საქმე მნიშვნელო საქმეა", — ამბობდა ჭერ კიდევ ინტერნაციული ურავა
ლისტ მასწავლებელთა სრულიად ჩატარდის მეორე ყრილობაში ურავა
კ. ი. ლენინი. იღნიშნავდა რა ამას, ვლადიმერ ილიას ძე მოუწოდებ-
და პედაგოგებს აქციებრინათ სოციალისტური სკოლა, რომელიც გახ-
დება აღამიანის პიროვნების აღზრდის იარაღი. გადააქციებს ცოდნასა
და მეცნიერებას მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ვანთავის უფ-
ლების იარაღიად.

მოელ რიგ სკოლებში ჭერ კიდევ სავსებით ნათლად როდი ესმით
მოსწავლეთა შრომითი აღზრდის არსი და დანიშნულება. აეიღოთ
მაგალითისათვის თუნდაც სოფლის სკოლები. მათს უმრავლესობას
აქვს მიწის ნაკვეთები. სადაც ბავშვებს მოჰყავთ სოფლის მეურნეო-
ბის კულტურები, უცლიან შინაურ პირუტყვეს. მაგრამ შრომითი
აღზრდისათვის ეს არ კმარა. საქმის არსი ის არის, რომ ბავშვებს
ჩაუნერგონ შრომის ორგანიზაციისა და მაღალი კულტურის ჩვევები.
თუ, მაგალითად, სკოლის ნაკვეთზე მოჰყავთ სიმინდი, მოსწავლეებმა
უნდა იკოდნენ ამ ძვირფასი სასურსათო და საფურავე კულტურის
დიდი მნიშვნელობა, ის, რომ სიმინდისაგან შეიძლება მივიღოთ ასო-
ბით სხვადასხვა პროდუქტი, მოსწავლეებს წარმოდგენა უნდა ჰქონ-
დეთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება უხვი მოსახლის მიღები-
სათვის პიბრილულ და დაყალიბებულ თესლს. იმაზე, თუ რა ეფექტი
აქვს ნიადაგში მინერალური სასუქების ან მინერალური და ორგანუ-
ლი სასუქების ნარევის შეტანას და სხვ. ყოველივე კარგს, საჭიროს.
რასაც სკოლაში მიღებენ, ისინი შემდეგ გამოიყენებენ თავიანთ
პრაქტიკულ მუშაობაში. სკოლაში მიღებული ცოდნა, შრომის კულ-
ტურა თან გაპყვება მათ შრომითს ცხოვრებაში.

ამ. მეავანაძე შეეხო მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრ-
დის საკითხებს. საქართველო, თქვა მან, მრავალუროვანი რესპექ-
ტურია. ჩვენს სკოლებში სწავლობენ ქართველები და რუსები, უკ-
რაინელები და სომხები, აზერბაიჯანელები და ესტონელები. აფხაზე-
ბი და ოსები, ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები პედაგოგთა
საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ყველა
ეროვნების ბავშვთა შორის სიყვარული და მეობრიობა, პატრიოტუ-
ლი სიმაცყ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსათვის, რო-
მელიც საბჭოთა ხალხების ერთ ოჯახიდ აერთიანებს ყველა ეროვნე-
ბას, წარმატებით რომ აშენებენ კომუნიზმს, — აი მთავარი იდეები,
რომლებითაც გამსჭვალული უნდა იყოს მოელი ჩვენი აღმზრდელო-
ბითი მუშაობა.

ამ. მეავანაძე ყრილობის მონაწილეთა ყურადღებას მიაქციეს
იმას, რომ საჭიროა რუსული ენის ღრმად შესწავლა. ქართველ

ხალხს, ისევე როგორც საბჭოთა კიუშირის ყველა ხალხს, დოდირებულ ხალხის ენა თავის მეორე დედა ენად მიაჩინია. ჩვენი ხალხის პიროვნეულობის სული მოღვაწეები ჯერ კიდევ რევოლუციამდე წლებში მოუწოდეს. ფედონენ ახალგაზრდობის ესწავლა რუსული ენა, განა შეიძლება რუსული ენის უცოდინრად ვეზიარო ჩვენი ქვეყნის ხალხების მიერ შექმნილ დიდ სოციალისტურ კულტურის? ამხ. მდავანებელს მოჰყავს ძაგალითები ქარელის რაიონის სასოფლო სკოლების მუშაობიდან და აღნიშნავს, რომ წარმატებას რუსული ენის სწავლებაში, ისევე როგორც ყველა სხვა საგნის სწავლებაში, წყვეტებ მასწავლებლები. გურიც ერთი მასწავლებელი ვერ მიაღწიეს წარმატებას ენის სწავლებაში, თუ იგი თვითონ კარგად არ ფლობს მას. განათლების სამინისტრომ ყველი ღონე უნდა იხმაროს, რათა უზრუნველყოს სკოლები, განსაკუთრებით სასოფლო სკოლები, რუსული ენის მასწავლებელთა რაღალკვალიფიური კადრებით.

შემდეგ ვ. პ. მეუანაძე აღნიშნავს, რომ წარმატება სახალხო განთლების სისტემის გარდაქმნის სწორად განხორციელებაში, მოზარდი თაობის აღზრდაში დამოკიდებულია პედაგოგთა კადრებზე. ჩვენ გვყავს თავისი პროფესიის ერთგულ მასწავლებელთა მოელი ამიმა, ადამიანები, რომლებიც მოელ სიცოცხლეს პიტიონისად და უანგაროდ ემსახურებიან საყარელ საქმეს. ჩვენი პატივია, საბჭოთა სახელმწიფო დიდად აფასებენ პედაგოგთა კეთილშობილურ შრომის. მოელი ხალხი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობა მათ.

ჩვენი უკვდავი იყენებს თქმისა არ იყოს: „ამმაღლებელი ხალხის უკით იმაღლდების ცათამდე“. კარგად ნათქვამი სიტყვებია! თქვენ ამაღლებთ ხალხს, შეგაქვთ ხალხში სინათლე, ცოდნა, მაღალი პრინციპები და იდეალები, ამაღლებთ მის კულტურას. მაღლიერი ხალხი თავის მხრივ ამაღლებს და პატივისცემით მოსახს პედაგოგებს.

საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენში არიან ისეთი „პედაგოგებიც“, რომლებიც ვერ ამართლებენ ამ მაღალ წოდებას, ხალხის ნდობას. სახალხო განათლების ორგანოებმა პარტიულ ორგანიზაციებით ერთად მეტი ზრუნვა უნდა გამოიჩინონ მასწავლებელთა კადრების სწორად შერჩევისა და აღზრდისათვის. პედაგოგთა კოლექტივებმა, სკოლების პარტიულმა ორგანიზაციებმა, სასწავლებელში მომუშავე ყველა კომუნისტმა მაღალი პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ კადრებთან მუშაობაში.

ცხოვრება ახალ მოთხოვნებს აყენებს და ჩვენ მხარდამხარ უნდა მივყვებოდეთ მას. სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა მასწავლებელთა და განათლების ყველა მუშაკთა წინაშე პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს. არ შეიძლება ამ ამოცანების გადაჭრა, თუ არ

ექნა მგზუნებარება, თუ არ იქნა დაუცირომელი შემოქმედებითი ძრება, ახალი ამოცანები ახლებულად მუშაობის სიკრი მოვალეობა წერე. სამუშაოების კულოს პედაგოგიური საზოგადოებრიობის დიდი მოვალეობა ის არის, რომ მოყვა თავისი ცოდნა, გამოცდილება და ინიციატივა მოახმაროს ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდას პარტიის საქმისაღმის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკეთებით. განუწყვეტლივ აუმჯობესოს სწავლებისა და აღზრდის მეოთხები, აიმაღლოს პედაგოგიური ოსტატობა.

დასასრულ ვ. 3. მეავანაძემ გამოიქვა რწმენა, რომ ჩვენი შესანიშავი პედაგოგები, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების უდიდესი მნიშვნელობა, არ დაიშურებენ ძალებსა და ენერგიას ჩვენი სკოლის რეორგანიზაციის პროგრამის განხორციელებისათვის, კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის.

თავმჯდომარე, ამხანაგებო! კამათში ჩაწერილი იყო 52 ამხანაგი, სიტყვით გამოვიდა 21. ყრილობის პრეზიდიუმში მიიღო წერილობითი წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. მინდა კენტი ვუყირო ამ წინადადებას. ვინ არის მომხრე, რომ შეწყდეს კამათი, გოხოვთ გვიჩვენოთ მანდატები. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ მიღებულია ერთხმად.

მომხსენებელი უარს ამბობს საბოლოო სიტყვაზე. მას არადერი დარჩენია სათქმელი ამხანაგ მეავანაძის გამოსცელის შემდეგ.

ყრილობას უნდა მოვახსენო, რომ პრეზიდიუმის სახელზე მიღებულია მწავალი შეკითხვა, აგრეთვე რამდენიმე განცხადება, რომლებსაც განათლების სამინისტრო, კოლეგიასთან ერთად, შეისწავლისა და გაატარებს სათანადო ლონისძიებებს. ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხი გაცემულ იქნება პრესის საშუალებით. ამრიგად, თქვენი ნებართვით ამ შეკითხვებსა და განცხადებებზე ამჟამად პასუხი გაცემული არ იქნება.

შემოსულია წინადადება მისაღმების დეპეშა გაფუგზავნოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. (ტ. ა შ. ი).

დეპეშის ტექსტის გამოსაქვეყნებლად სიტყვა ეძლევა ამბ. ბურ-ბულაძეს.

მ. ი. ბურ-ბულაძე (კომისულობს დეპეშის ტექსტს).

საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა თავის მხრივალე,
მგზნებარე საღამის უძლვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-
ტიის ცენტრალურ კომიტეტის, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს პარტია
და საბჭოთა ხალხი ლენინური გზით კომუნიზმის ელვარე მწვერვა-
ლებისაკენ.

ყრილობის დელეგატები — საქართველოს სახალხო განათლე-
ბის 54-ათასიანი არმიის წარმომადგენლები — აღფრთოვანებული
არიან იმ უდიდესი ყოველდღიური მზრუნველობითა და ყურადღე-
ბით, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენებ
მოზარდი თაობისა და მისი აღმზრდელების — მასწავლებლების მი-
მართ. ამ ლენინური მზრუნველობის ერთ-ერთი გამოვლინებაა საბ-
ჭოთა საქართველოს სახალხო განათლების არახელი აუგავება, სა-
ქართველოსი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქმ-
ნინავე სოციალისტური კულტურის ჩესპებლიკად. სახალხო გა-
ნათლების დონის მიხედვით საქართველოს სს ჩესპებლიკამ გაუსწ-
რო ისეთ განვითარებულ კაბიტალისტურ სახელმწიფოებს, როგორი-
ცაა ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები.

საქართველოში ახლა 4 ათასზე მეტი დაწყებითი და საშუალო
სკოლა, რომლებშიც მეცნიერებათა საფუძვლებს ეუფლება და კო-
მუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის ეშადება
600 ათასზე მეტი მოსწავლე.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა „შესაბამისად,
მთელი ხალხის ფართო მხარდაჭერით, პარტიული ორგანიზაციების
ყოველდღიური ხელმძღვანელობით მიმღინარე სასწავლო წლიდან
ჩესპებლიკის სკოლებში დაიწყო „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის
განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვი-
თარების „შესახებ“ მიღებული კანონის განხორციელება. საყოველ-
თაო საგალდებულო რვაწლიანი სკოლების 1—V კლასები უკე ახ-
ლი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით მეცადინეობენ. საწარ-
მოთ სწავლებაზე გადაყვანილია საშუალო განათლების მეორე ეტა-
პის სკოლების 167 მეცნიერე კლასი. გაძლიერდა შრომითი სწავლება
აღმულიანი საშუალო სკოლის VII—X კლასებში. მნიშვნელოვნად გა-
ფართოვდა სკოლა-ინტერნატების ქსელი, რომლებშიც წელს 5 ათას-
ზე მეტი აღსაზრდელი მეცადინეობს. ჩესპებლიკაში იქმნება პირო-
ბები იმისათვის, რომ 1962—1963 სასწავლო წელს განხორციელდეს
სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა და ყველა ტიპის სკოლე-

ბის გადაყვანა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე. ამასთან ერთად ჩესპეციალიკაში დიდფება სკოლების რაოდენობა, სწრაფი ტემპებით იგება ახალი სასკოლო შენობები და სკოლა-ინტერნატები, უმჯობესდება და სულ უფრო მტკიცე ხდება სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, ძლიერდება მათი კავშირი ცხოვრებასთან, ფაბრიკა-ქარხნებთან, უმჯობესდება პედაგოგიური კადრების შემაღება-ლობა და მომზადება.

ყოველიც ეს მტკიცე საწინდარია იმისა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ამზადებდეს ყოველმხრივ ვანათლებულ აღამიანებს, რომლებიც კარგად იქნებიან დაუფლებული მეცნიერებათა საფრენებს და ექნებათ სისტემატური ფიზიკური შრომის უნარი, აღამიანებს, რომლებიც სასარგებლონი იქნებიან საზოგადოებისათვის და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მატერიალური დოკუმენტის შექმნაში. ცხოვრებასთან, წარმოებასთან, კომუნისტური შენებლობის პრაქტიკასთან სწავლების მტკიცე კავშირი ჩვენი სკოლის გარდაქმნის ლენინური გზაა. რომელიც უზრუნველყოფს მოზარდი ლაობის აღზრდას კომუნისტური მორალის სულისკეთებით.

საქართველოს მასწავლებლებს კარგად აქვთ შენებული იმ ახალი ორი ამოცანების მნიშვნელობა, რომლებიც საბჭოთა სკოლის წინაშე, განთლების ყევლა მუშავის წინაშე დასახა პარტიის ისტორიულმა X XI ყრილობამ, სკოლის გარდაქმნის შესახებ მიღებულმა დანონმა და რომლებიც ნაკარნახევია. ჩვენს ქვეყანაში გაშლილი კომუნისტური შენებლობის ინტერესებით.

საქართველოს სსრ სკოლის მასწავლებელთა ყრილობა რესპუბლიკის პედაგოგთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით არწმუნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ჩესპეციალის მასწავლებლები და სახალხო განათლების ყევლა მუშავი კვლავაც წარმატებით გადაწყვეტინ პარტიისა და მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასახულ დიდ საპასუხისმგებლო ამოცანებს — აღზრდიან ყოველმხრივ ვანათლებულ და ჯანმრთელ აღამიანებს, რომლებიც კომუნიზმის საქმის ბოლომდე ერთგულნი იქნებიან და სრული გამარჯვებით დააგვირვენებენ კომუნიზმის შენებლობის უკედავ საქმეს.

გაუმარჯოს კომუნიზმის შენებელ გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი საუკუნის სინდისა და პატიოსნებას, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის მამაც მედროშეს, ძლიერი საბჭოთა ხალხის უკედავ საქმეთა ბრძენ ხელმძღვანელსა და სულისჩამდგმელს!

საქართველოს სსრ მასწავლებელთა ყრილობა.



თავმჯდომარე, ამნანაგებო! ყრილობის დღის წესრიგი ამოწურებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყრილობა, რომელმაც ნაყოფიერად იმუშავა, ხელს შევვიწყობს, რომ მომავალში ვიმუშაოთ უფრო უკეთესად, მთელი ჩვენი ძალების დაძაბვით, რათა ნამდვილად განვახორციელოთ ის ამოცანა, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის, თითოეული მასწავლებლის, სკოლის ყოველი მუშაյის წინაშე დასახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა ოწმენა, რომ ამ ყრილობით ჩვენ შევძლებთ წვლილი შევიტომოთ იმ დიდ საქმეში, რომელსაც ეწოდება ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა.

ნება მიბოძეთ ყრილობის საქმიანი პრეზიდიუმის სახელით გისურეოთ ახალი წარმატებანი ჩვენს სახელოვან მასწავლებლებს ახალგაზრდა თაობის კომუნისტური სულისკეთებით აღზრდისა და სწავლების დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში. (ხანგრძლივი ტაში).

საქართველოს სსრ მასწავლებელთა ყრილობას დახურულად დაცხადებ (ტაში).

ს ა რ ჩ 0 3 0

პირველი სხდომა	3
მეორე სხდომა	69
მესამე სხდომა	128

* * *

რედაქტორი თ. კობერიძე
 ტექნიკური დ. ფილიპიძე
 კორექტორი თ. ხატიაშვილი

* * *

ხელმოწერილია დასაბუძღავ 15/III-62 წ. ინწყობის ზომა 6×10 ,
 ქაღალდის ზომა 60×90 , სასტამბო თაბახი 13.,
 საღრიცხვო-საგამოხცემლო — 11,47, სავტორო — 11,29.

ფასი 41 კაპ.

00 03199

შეკვეთა № 1292

ტირაჟი 1.000

* * *

გ.შ. „ლენინსკოე ზნამინი“ გამომცემლობის სტანდ.
 ქ. თბილისი, მხელაძის ქ., № 21.

Типография издательства газеты ЗакВО «Ленинское знамя»,
 Тбилиси, ул. Даниладзе № 21.

Составитель Мгалоблишвили Владимир Константинович

СЪЕЗД УЧИТЕЛЕЙ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 сентября—1 октября 1959 года

Стенографический отчет

(на грузинском языке)

Государственное издательство
учебно-педагогической литературы
«Цодна»

Тбилиси — 1962

6. 13/1



